საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 114 (659) | ოთხშაბათი, 2 ივნისი 1993 წელი. | ფასი 10 კუპონი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებენ, რომ კვლავ დაირღვა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, და 31 მაისს მდინარე გუმისთაზე განლაგებულ ფრონტის ხაზზე გააქტიურდნენ მოწინააღმდეგის სნაიპერები, აფხაზური მხარე კვლავ ინტენსიურად განაგრძობს გათხრით სამუშაოებს და ამაგრებს თავის პოზიციებს. გვიან ღამით 0 საათსა და 20 წუთზე, მოწინააღმდეგემ პროვოკაციული მიზნით ქართულ პოზიციებს დაუშინა ნაღმსატყორცნებისა და ავტომატური იარაღის ცეცხლი.

ოჩამჩირის რაიონში აფხაზები პერიოდულად ისროდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების პოზიციებისკენ სოფლების ლაბრისა და ტამიშის მიმართულებით. ზოგან კი ცდილობდნენ განეხორციელებინათ პროვოკაციული შეტევითი მოქმედება.

საქართველოს შეიარაღებული ძალები თავიანთ პოზიციებს ინარჩუნებენ.

ღამის 12 საათისათვის მოწინააღმდეგემ ნაღმსატყორცნების და ავტომატური იარაღის ცეცხლი დაუშინა ქართველთა პოზიციას სოფელ ლაბრასთან.

წინასწარი ცნობებით, დაიჭრა 5 ქართველი მეომარი.

იოსებ გობეჩია.

• • •

აფხაზეთში სწავლა განახლდება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო გაცნობებთ, რომ ყველა სახის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობა განახლდება 1993 წლის 7 ივნისიდან.

ვთხოვთ მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, პროფესორ-მასწავლებლებს, გამოცხადდნენ თავიანთ სასწავლებლებში და ამით ხელი შეუწყონ როგორც სასწავლო წლის დამთავრებას, ასევე აფხაზეთში ვითარების სტაბილიზაციას.

სტუდენტები, რომლებიც შეიარაღებულ ძალებში არიან გაწვეულნი, გადაყვანილი იქნებიან სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე.

აფხაზეთის განათლების სამინისტრო

• • •

დაგვიბრუნდება თუ არა ცხვრის ფარები?

როგორც ჩანს, საქართველოს 185-ათასიანი ცხვრის ფარები, რომლებმაც ყიზლარის საძოვრებზე გამოიზამთრეს, პირველად ვერ შეძლებენ დაბრუნებას მშობლიურ მხარეში. როგორც საქინფორმის კორესპონდენტმა შეიტყო, ფარებს, რომლებსაც არა აქვთ შესაძლებლობა დაბრუნდნენ შინ ტრადიციული მარშრუტით — ჯვრის უღელტეხილის გავლით, ვერც რკინიგზის ვაგონებით გადმოიყვანენ. და ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ შემადგენლობები არ ჰყოფნით: ვაგონები გამოყოფილია და ცოცხალი ტვირთის მისაღებად გამზადებულია. საქმე სულ სხვაგვარად არის: საქართველოს მხარეს ფულის უქონლობის გამო, რა თქმა უნდა, იგულისხმება მანეთები, არ შეუძლია გადაუხადოს ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზას ტვირთის გადმოზიდვისათვის მის მიერ მოთხოვნილი თანხა.

რუსლან ახმეტელი,

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა ყაზახეთსა და ჩინეთში

1 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა ყაზახეთსა და ჩინეთში.

გამგზავრების წინ, როცა შეეხო ყაზახეთს, მან განაცხადა, რომ იგი არის „ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ქვეყანა, რომელმაც დიდი ადგილი უნდა დაიკავოს მსოფლიო რუკაზე თავისი მეცნიერული პოტენციალის, ეკონომიკური შესაძლებლობების, იმის მეოხებით, რაც გასულ წლებში მან დააგროვა".

— მხედველობაში მაქვს ბაიკონური, შეიარაღებული ძალები, ბირთვული პოტენციალი ამ ქვეყნისა, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ — და მის წინაშე სულ უფრო პერსპექტიული მომავალია დასახული. ამიტომ ასეთ ქვეყანასთან ტრადიციული ურთიერთობის განახლება, რაც მასთან წინათ გვაკავშირებდა, ფრიად საჭიროა. კიდევ უფრო საჭიროა ახალი ურთიერთობის დამყარება.

სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ საქართველოსა და ყაზახეთის ექსპერტებმა მოამზადეს მორიგებათა პაკეტი, მათ შორის პოლიტიკური დოკუმენტი ურთიერთობის პრინციპების შესახებ, აგრეთვე ეკონომიკური შეთანხმებანი, ხელშეკრულებანი მეცნიერებისა და ტექნიკის, მედიცინის, ტურიზმის დარგში და ბევრ სხვა სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

— მიმაჩნია, რომ საქართველოს თანამშრომლობა ყაზახეთთან ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია, თუ გვინდა, მივაღწიოთ გარდატეხას მრეწველობაში, სასოფლო მეურნეობაში მთლიანად, — ხაზი გაუსვა ედუარდ შევარდნაძემ. — ამას საფუძვლები იქმნება დღის, თუმცა, ერთგვარი დაგვიანებით. მაინც როგორია ჩვენი ინტერესები? უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური ურთიერთობა. საქართველო ახლა ყიდულობს დიდძალ ენერგომატარებლებს. გაზს — 9 მილიარდი მანეთისა. ამასთან, მარცვლეული, ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქცია საკმარისი რაოდენობით ვერ შემოდის. იმედი მაქვს, რომ შევძლებთ მოველაპარაკოთ ყაზახეთის ხელმძღვანელობას უკვე წლეულს და გაისად გარანტირებული რაოდენობის მოწოდების შესახებ. თუ დავაინტერესებთ ყაზახეთს, სადაც აწარმოებენ ამ რესპუბლიკის მოთხოვნილებებზე თითქმის ერთიორად მეტ მარცვლეულს, მაშინ საქართველოსათვის მარცვლეულის მოწოდების ერთ-ერთი წყარო უზრუნველყოფილი იქნება. გვაქვს სხვა ინტერესებიც. მაგალითად, მეტალურგებს, მანქანათმშენებლებს, ქიმიკოსებს, ელექტრონიკის სფეროს მუშაკებს და ა. შ.

არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება დავაწარმოოთ მოლაპარაკება კრედიტების შესახებ. ახლა ძალიან ძვირია კრედიტი, და არა იმდენად დოლარებით, რამდენადაც მანეთებით. ეს უნდა იყოს სახელმწიფოთაშორისი კრედიტები. უკრაინასთან, მაგალითად, დავდეთ ასეთი შეთანხმება. ვაპირებთ დავდოთ შეთანხმება რუსეთთანაც. ხოლო, თუ ამგვარ გარანტიებს ყაზახეთიდანაც მივიღებთ, მაშინ, შეიძლება ითქვას, ვითარება რამდენადმე შემსუბუქდება.

როცა ჩინეთს შეეხო, ედუარდ შევარდნაძემ თქვა: „ჩინეთი ისეთი ქვეყანაა, რომლისოდაც არ წყდება, და არც შეიძლება გადაწყდეს მსოფლიო გაერთიანების არც ერთი სერიოზული საკითხი. არის ამ სახელმწიფოსთან კარგი ურთიერთობის რეალურად დამყარების შანსი და მოვალენი ვართ, ამაზეც ვიფიქროთ, რათა მოვაგვაროთ სადღეისოდ ურთიერთხელსაყრელი კავშირი, ვიფიქროთ მომავალზე.

— ჩვენთვის, — აღნიშნა მან, — დიდი მნიშვნელობა აქვს დეკლარაციას, რომელსაც ხელი უნდა მოვაწეროთ. ეს იქნება პოლიტიკური დოკუმენტი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ძირეულ საკითხებზე. მაინტერესებს ჩინეთის მიერ ეკონომიკური რეფორმების დროს შეძენილი გამოცდილება. ამას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. პირადად გავეცანი ამ გამოცდილებას, როცა შანხაის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში ვიყავი, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე აქ სულ რამდენიმე წლის მანძილზე მოპოვებულმა წარმატებებმა. შესაძლებლობა მქონდა, გავცნობოდი ჩინეთის გამოცდილებას ქვეყნის სხვა ქალაქებშიც, მას შემდეგ ჩინეთში უკეთესობისაკენ ბევრი რამ შეიცვალა. გვაინტერესებს პირდაპირი ეკონომიკური კავშირურთიერთობაც ამ ქვეყანასთან. ჩინეთში, მაგალითად, კლასიკურ დონეზეა დაყენებული მცირეგაბარიტიანი ტექნიკის წარმოება, რომელიც ესოდენ საჭიროა საქართველოსათვის. იქ არის ძალიან იაფი ტექნიკა, რომელიც დიზელის საწვავზე მუშაობს. საზოგადოება „სახეთმა" რამდენიმე ასეული ერთეული ასეთი ტექნიკა შემოიტანა, რომელიც ეკონომიკური და ძალიან მოხერხებულია. არ გამოვრიცხავ ერთობლივი საწარმოს შექმნის შესაძლებლობას. თუ კრედიტებს მივიღებთ, შეიძლება შევიძინოთ ასეთი მანქანები.

ეს მხოლოდ ერთი საკითხთაგანია, — თქვა შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა. — გვაქვს სხვა ინტერესებიც. ჩინეთში აწარმოებენ მარცვლეულს, ბრინჯს, ჩვენ გვინდა, დავაინტერესოთ ჩინეთის მხარე — საქართველოდან მივაწოდოთ სასუქები, რომლებზეც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დიდი მოთხოვნაა. სანაცვლოდ, ჩინეთიდან შემოვიტანოთ სხვადასხვა სახეობის მარცვლეული. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში არიან სპეციალისტები, რომლებიც, ასე თუ ისე, იცნობენ ჩინეთის ეკონომიკას. იმედი მაქვს, რომ ჩინეთიდან ცარიელი ხელით არ დავბრუნდებით. თანამშრომლობის ფრიად საინტერესო პერსპექტივები ისახება მედიცინის, მეცნიერების, ტექნიკის დარგში. ყველა ამ სფეროს წარმომადგენლები შედიან ჩვენს დელეგაციაში.

დარწმუნებული ვარ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, რომ ჩინეთის სახით დიდ მეგობარს ვიძენთ. ამ ქვეყანაში სამჯერ მომიწია ჩასვლა. ეს ფრიად მძიმე ხანა იყო საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ისტორიაში. შევხვდი სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელებს, მათ შორის დენ სიაოპინსაც. სწორედ ჩვენთან საუბარში წარმოთქვა მან ცნობილი ფრაზა: „დავივიწყოთ წარსული და ვიზრუნოთ მომავლისათვის". და, მართლაც, ამას მოჰყვა პროცესი, რომლის მეშვეობითაც კვლავ დამეგობრდნენ ეს ქვეყნები. დარწმუნებული ვარ, რომ ჩინეთი დაინტერესებულია, დაამყაროს კარგი ურთიერთობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასთან, და შესაძლოა, ჩვენ განსაკუთრებული საგანძო პუნქტიც ვიყოთ, რომელიც ჩინეთისათვის ინტერესს წარმოადგენს.

• • •

სურათებზე: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე** ყაზახეთის პრეზიდენტთან **ნურსულთან ნაზარბაევთან** შეხვედრის დროს;

სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებს ხელს აწერენ **ნურსულთან ნაზარბაევი** და **ედუარდ შევარდნაძე**.

საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტის **სერგო ედიბერაშვილის** ტელეფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხელი მოაწერეს მთელ რიგ დოკუმენტებს

ალმათი. (ყაზინფორმ-საქინფორმი). საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, რომელიც დღეს ნაშუადღევს ჩავიდა სამუშაო ვიზიტად ყაზახეთის დედაქალაქში, პირისპირ ესაუბრა პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს. იმავდროულად გაიმართა ყაზახეთისა და საქართველოს სამთავრობო დელეგაციათა მოლაპარაკება, რომლებსაც მეთაურობდნენ პრემიერ-მინისტრების მოადგილეები ახიგატ ჟაკეგინი და ზურაბ კერვალიშვილი.

მხარეებმა განიხილეს ორივე ქვეყნისათვის საინტერესო ფართო წრის პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორმხრივი ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებს. სახელმწიფოთა მეთაურებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყაზახეთი და საქართველო ისწრაფვიან გააფართოონ ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და სუვერენული თანასწორობის პრინციპების საფუძველზე.

მათ გამოთქვეს შეშფოთება საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ედუარდ შევარდნაძემ ყაზახეთის პრეზიდენტს გააცნო კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ღონისძიებები. ნურსულთან ნაზარბაევმა პოზიტიური შეფასება მისცა საქართველო-რუსეთის უმაღლესი დონის მოსკოვის ბოლო შეხვედრის შედეგებს და განაცხადა, რომ მზად არის ხელი შეუწყოს აფხაზეთის კონფლიქტის სწრაფად მოწესრიგებას.

რეგიონული პრობლემების განხილვისას მთავარი ყურადღება მიექცა ყოფილი კავშირის „ცხელ" ზონებში არსებულ საქმის ვითარებას. ორივე ხელმძღვანელმა გამოთქვა იმედი, რომ მალე შეწყდება კონფლიქტები, და განაცხადეს, რომ ისწრაფვიან ხელი შეუწყონ ამას.

ედუარდ შევარდნაძემ მხარი დაუჭირა ნურსულთან ნაზარბაევის ინიციატივას იმის შესახებ, რომ მოიწვიონ აზიაში უშიშროებისა და ნდობის ღონისძიებებისადმი მიძღვნილი თათბირი, ორი ქვეყნის ლიდერებმა დაადასტურეს, რომ არ უღალატებენ დამოუკიდებლობის განმტკიცების, დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნის, ფართო მასშტაბის რეფორმების განხორციელებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არჩეულ კურსს. აღინიშნა, აგრეთვე, რომ ორივე სახელმწიფო ხელს შეუწყობს შავი და კასპიის ზღვების აუზების ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას.

ედუარდ შევარდნაძემ ნურსულთან ნაზარბაევი საქართველოში მიიწვია. მიწვევა მადლობით მიიღეს. ვიზიტის ვადებს შეათანხმებენ დიპლომატიური არხებით.

მოლაპარაკების შედეგების მიხედვით დაიდო ხელშეკრულება ძირითადი ურთიერთობის შესახებ. ხელი მოაწერეს აგრეთვე, საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას. დაიდო მთელი რიგი სამთავრობათაშორისო და საუწყებათაშორისო შეთანხმებანი. შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია.

2 ივნისს ე. შევარდნაძე ვიზიტად მიემგზავრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

საქართველო—ჩინეთი

დიდი გზის დასაწყისი

19 მაისს საქართველოსა და სომხეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუშიშროების ხელშეკრულების დადების შემდეგ არსებითად დამთავრდა ჩვენი ქვეყნის კეთილი ნების, კეთილმეზობლური ურთიერთობათა დამკვიდრება რეგიონში. მხედველობაში გვაქვს ანალოგიური ხელშეკრულებები აზერბაიჯანთან, თურქეთთან, ირანთან, უკრაინასთან (რუსეთთან ურთიერთობის საკითხი ცალკე განსჯის საგანია).

ახლა დგება ბუნებრივი აუცილებლობა იმისა, რომ საქართველომ კეთილი ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობები დაამყაროს შორეულ, პირველ რიგში წამყვან საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

ამ მხრივ ძნელია ჯეროვნად არ შეაფასო ჩინეთის როლი და საერთაშორისო გავლენა. ეს უძველესი ეგზოტიკური ქვეყანა ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას. მისი ტერიტორია (9,6 მილიონი კვადრატული კმ) თითქმის ეტოლება მთელი ევროპის კონტინენტის ტერიტორიას, ყოველი მეოთხე მცხოვრები კაცობრიობისა კი ჩინელია (1 მილიარდ 200 მილიონი), ჩინეთის მოსახლეობის 93,3 % ჩინელია (ხანი), თუმცა ქვეყანაში სახლობს 60-მდე სხვა ეროვნების თემი.

და მაინც, თანამედროვე ჩინეთი ყურადღებას იპყრობს არა იმდენად თავისი სიდიდით, ისტორიითა თუ ტრადიციების ნაირფეროვნებით, რამდენადაც საერთაშორისო ცხოვრებაში სულ უფრო მზარდი პოლიტიკური გავლენით, ეკონომიკური თუ ინტელექტუალური პოტენციალით. ჩინეთი არის გაეროს უშიშროების საბჭოს (ამ ორგანიზაციის დაარსების დღიდან) 5 მუდმივი წევრი ქვეყნიდან ერთ-ერთი, რაც თავისთავად მრავლისმეტყველია, ყურადღებას იმსახურებს ამ გიგანტი ქვეყნის წარმატებული მცდელობა თავი დააღწიოს იმ იზოლაციასა და სტაგნაციას, რომელშიც იგი მიზეზთა და მიზეზთა გამო საკმაო ხანს იმყოფებოდა.

დაგვეთანხმებით, განსაკუთრებულად ღირებულია ამ ქვეყნის გამოცდილება დინამიკურად (და რაც მთავარია უსისხლოდ) გადასვლისა ე. წ. „სოციალისტურიდან" საბაზრო ეკონომიკაზე.

სულ რაღაც 10-14 წლის წინ ჩინეთის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ დაისახა თითქოსდა ფანტასტიკური ამოცანა — 2000 წლისათვის გაეოთხმაგებინა ერთობლივი ეროვნული პროდუქტი. და აი, მართლაც ეს გეგმა, როგორც ჩანს, დარჩენილ ვადამდე 3-4 წლით ადრეც კი შესრულდება. ახლა ჩინეთი მსოფლიოს ყველაზე უფრო დინამიკურად განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა. სახელმწიფო, რომლის მოსახლეობა არც თუ შორეულ წარსულში შიმშილობდა, ახლა სოფლის მეურნეობის ბევრი სახეობის პროდუქციის ექსპორტიორიც კი გახდა.

თვალსაჩინოა ე. წ. „მაღალი ტექნოლოგიების" (ელექტრონიკა, კომპიუტერული ტექნიკა, სარაკეტო-კოსმოსური, ქიმიური და სხვა) დარგებში ქვეყნის წარმატებები.

ჩინეთი მოკლე ხანში გახდა ფართო მოხმარების საქონლის (ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა და აპარატურა, საათები, სპორტული ინვენტარი და სხვა) ერთ-ერთი მსხვილი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი.

რა არის ამ „ჩინური ბუმის", „ჩინური საოცრების" საფუძველი? მრავალ ფაქტორს ასახელებენ — ტრადიციული ჩინური შრომისმოყვარეობით დაწყებული, ჰონკონგისა, ტაივანისა თუ ჩინური დიასპორის „ხუაცაოს" მხრივ სავალუტო ინვესტიციებით დამთავრებული. მაგრამ ჩვენი აზრით, ამოსავალი მაინც ის პროგრესული ეკონომიკური რეფორმები და ნაყოფიერი სამართლებრივი გზაა, რომელმაც განაპირობა არნახული ეკონომიკური წარმატებები. მათ შორის გამორჩეულია მიწათსარგებლობის რეფორმა და კერძო სექტორის წახალისება.

მართალია, მიწა ჩინეთში სახელმწიფო საკუთრებაა, დაშვებულია მისი ხანგრძლივი ვადით (15-50 წლით) გაიჯარება როგორც კოლექტივებზე (კოოპერატივებზე), ასევე ცალკეულ ოჯახებზე (საშუალოდ ნახევარი ჰექტარი ერთ მეურნეობაზე). აპირებენ მიწის იჯარის ვადა 70 წლამდე გაზარდონ. ამ გზით სახელმწიფომ 1992 წლისათვის გააიჯარა 130 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა და ამ გზით 10 მილიარდი დოლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო — მათ შორის 200 მილიონი დოლარი მყარი ვალუტის სახით გადაიხადეს უცხოელმა მოიჯარეებმა. მართალია, ჯერჯერობით ქვეყანაში კვლავ მოქმედებს წარმოებული მარცვლეულისა და ბამბის სახელმწიფოსათვის სავალდებულო მიყიდვის ლიმიტები, ვარაუდობენ, რომ 2-3 წელიწადში ეს შეზღუდვები გაუქმდება და გლეხობას მიეცემა უფლება წარმოებული პროდუქცია თავისუფლად გაიტანოს საშინაო თუ საგარეო ბაზარზე. იქმნება მარცვლეულით, ხორცით, ბამბით, შაქრით და სხვა სასოფლო წარმოების პროდუქციით საბითუმო ვაჭრობის ბირჟები, ინერგება წინასწარი ე. წ. ფიუჩერსული გარიგებების პროგრესული პრაქტიკა.

ჩინეთის სტაბილურმა, წარმატებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, წარმოების ეფექტიანობამ, პროდუქციის კონკურენტუნარიანობამ განაპირობა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის სიმყარე და სტაბილურობა. ექსპერტების შეფასებით, მართალია, ჩინეთს 52 მილიარდი დოლარი საგარეო ვალი აქვს, მისი სავალუტო მარაგი არანაკლებია და 50 მილიარდ დოლარს უტოლდება. საგარეო ვალის 85 % გრძელვადიან (დაბალპროცენტიან) კრედიტებზე მოდის და ჩინეთის საექსპორტო შემოსავლის მხოლოდ 10% შეადგენს. თურმე ჩინეთი ისე იოლად იხდის ამ პროცენტებს. რომ არც კი ეხება, არ „ჭამს" თავის სავალუტო რეზერვებს.

ჩინეთში ფეხი მოიკიდა კერძო სექტორმა. ქვეყანაში ამჟამად ფუნქციონირებს 15 მილიონზე მეტი კერძო საწარმო და სარეწი. მართალია, ისინი ჯერჯერობით აწარმოებენ სამრეწველო პროდუქციის მხოლოდ 4%-ს, სამაგიეროდ, მათზე მოდის საქონელბრუნვის 18% და მომსახურების მოცულობის 75%. ჩინეთში გაჩნდნენ მდიდარი ადამიანები. ახლა ჩინეთში ხშირად შეხვდებით ბიზნესმენ-მეწარმეს, რომლის კაპიტალიც 100 მილიონ იუანს (17-18 მილიონი დოლარი) აღემატება კიდეც. ამას წინათ როიტერის სააგენტო იუწყებოდა — ჩინეთის მოსახლეობა აქტიურად ყიდულობს ოქროს და ამ მაჩვენებლით ქვეყანამ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი გაუსწრო. ვარაუდობენ, რომ 2000 წლისათვის კერძო საწარმოთა რიცხვი 30 მილიონს მიაღწევს, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის წილი ეროვნული პროდუქციის მოცულობაში კი 20%-ს შეადგენს.

„საშუალო ჩინელის" კეთილდღეობის ზრდის მაჩვენებელია თუნდაც სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოხელეთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდაც. ჩინელი სახელმწიფო მოსამსახურე, — „განწუ" 12 საფეხურიანი ტარიფის თანახმად იღებს ხელფასს, რომელიც 155-დან 1200 იუანამდე თანხას უტოლდება (25-დან 200 დოლარამდე თვეში).

ორიოდე სიტყვა ჩინეთის ხელმძღვანელობისა და ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზეც ვთქვათ. ახლახან ჩატარებულ სრულიად

(დასასრული მე-3 გვ.).

სურათზე: პეკინის ტიანინხის ტაძარი.

ნომერში

◉ რკინიგზა დილეტანტიზმსა და არაპროფესიონალიზმს ვერ იტანს. 2
◉ ჩემი ვასალის ვასალი, ანუ ვინ და როგორ უნდა გადაწყვიტოს გაჭიანურებული დავა? 3

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განათლების სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და ორგანიზაციებთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს განათლების სისტემის კრიზისიდან გამოყვანის გეგმა და განახორციელოს იგი 1993/94 სასწავლო წლიდან.

ე. შევარდნაძე.

თბილისი.

...ის ერთი „თუ"

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

სწორედ ის ერთი „თუ" იქცა დადგენილების იმ საბედისწერო მონაკვეთად, რომელიც დეპუტატებმა ვერა და ვერ გადალახეს, რათა შემდეგ ფინიშის სწორით კენჭისყრამდე დაუბრკოლებლად მისულიყვნენ.

ის ერთი „თუ" რუსეთის ჯარების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის ვადები გახლდათ...

ვაი შენ და... ხავთასი

სამოც-სამოცდაათიანი წლების უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს ახსოვთ დახვეწილი ევროპის ლიტერატურის უნიკალური ლექტორი, პროფესორი გრიგოლ ხავთასი. სტუდენტებში ასეთი ტერმინიც იყო: ვინმე რომ დაიკვნესებდა, შემთხვევით „ვაის" იტყოდა, იქვე ვიღაც უთუოდ შეაგებებდა — „ვაი შენ და, ხავთასიო". ეს ყველაზე დიდი წყევლა იყო.

გუშინდელ სხდომაზე ეს წყევლა სპიკერთან ერთად, რომელიც თითქმის ყოველ სხდომაზე მეტ-ნაკლებად გრძნობს მის „მადლს" (ზოგჯერ კი შერიგდებიან ხოლმე ის და გია ხავთასი, ესეც აღსანიშნავია), ეს წყევლა ბატონ ნოდარ ნათაძესაც მიუვიდა, რომელმაც გამოიტანა საკითხი საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანის შესახებ. მაგრამ, რასაკვირველია, აქ უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი ჩვენი ბატონი პროფესორი ხავთასი, არაფერ შუაშია. წყევლად გიორგი ხავთასი მოევლინათ, რომელმაც თავის პოზიციის შეცვლა რუსის ჯარის საქართველოს ტერიტორიიდან 1995 წლის ბოლომდე გაყვანის შესახებ არაფრით მოისურვა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იგი მარტო არ იყო, დარბაზში საკმაოდ აღმოჩნდნენ იგივე აზრის მქონე დეპუტატები, რომლებმაც განაცხადეს, რომ თუ ამ სახით ეყრება კენჭი დოკუმენტს, კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ.

ამიტომ ბატონი ნოდარ ნათაძე იძულებული გახდა, როგორც თვითონ თქვა, დადგენილების პროექტიდან ამოეღო ის პუნქტი, რომელშიც ამ ვადებზე იყო საუბარი და ისე ეყარათ კენჭი. სახელობითმა კენჭისყრამ ნათლად გამოხატა დარბაზის ნება — დადგენილება მიიღეს. მაგრამ იმ პუნქტის მომხრეებმა, რომელთა აზრით დადგენილებაში აუცილებლად უნდა ფიგურირებდეს 1995 წელი — ჯარის აქედან გაყვანის ბოლო ვადა, — როგორც ჩვენი ძლიერ მონაპოვარი, მოითხოვეს ამ პუნქტის რეანიმაცია — ხელმეორედ კენჭისყრა, ისევ სახელობით. ხმათა რაოდენობა ვერ მოაგროვეს. ზოგმა დეპუტატმა განაცხადა, რომ მისი პულტი საიმედო არ არის, ამიტომ ეჭვობს, რომ მისი ხმა დაკარგულია, ზოგმა ისევ პროტესტი გამოთქვა — კენჭისყრის შედეგების რევიზია დაუშვებელიაო. მოკლედ, წყევლა-კრულვა წამდაუწუმ ტრიალებდა მთელი დილის სხდომის დროს. სპიკერმა ყვითელი ბარათებიც კი უჩვენა ორ მოკამათეს (ნეტავ წითელსაც თუ მოუსწრებს...).

ამ პულტების თაობაზე ადრეც მინდოდა მეთქვა, რადგან შემჩნეული მქონდა, რომ ხშირად მათი ნდობა არ შეიძლება. ჩვეულებრივ სიტუაციაში თუ ეს დიდ პრობლემას არ ქმნის, ასეთ გადამწყვეტ დროს დაძაბულობა კულმინაციამდე აჰყავს. და საერთოდ, არა მგონია, ვინმე შემედავოს, ჩვეულებრივ სიტუაციაშიც გაუმართავი ტექნიკით თავის მოტყუებას გამართულით მუშაობა ჯობია. მაშ, რად არის პულტების უვარგისობა დღის წესრიგის დაცვისა და დროზე დაწყების პრობლემასავით მოუგვარებელი ჩვენ პარლამენტში? აქვე გავაფრთხილებთ — კითხვები რიტორიკულად არავის მოეჩვენოს. ძალზე კონკრეტული პასუხები აქვთ.

კენჭისყრის შედეგების რევიზია არ მოხერხდა. ის ძალაში დარჩა.

აღმასრულებელი ხელისუფლება ხუმრობს?!

საღამოს სხდომა შეიძლება დავიწყოთ რუბრიკით — „რა არ ხდება!" — დამთავრდა თუ არა საოკუპაციო ჯარის გაყვანის საკითხის განხილვა და ის-ის იყო კათედრაზე ასული თეიმურ ბასილია კუპონების პრობლემაზე საუბარს იწყებდა, რომ დარბაზში ირაკლი წერეთელი შემოვიდა. სადაც სამართალია, პირიქით უნდა ყოფილიყო.

კათედრაზე ასულ ვიცე-პრემიერს რომან გოცირიძეს დარბაზმა ცალსახა ამოცანა დაუსახა — ლექცია არ გვინდა, გვითხარით, კონკრეტულად რა ეშველება კუპონების არნახული ტემპით დევალვაციას, თორემ, იმგვარ პირობებში, როგორც დეპუტატმა ნონა კენჭუაშვილმა თქვა, როდესაც მინიმალური ხელფასი 3 000 მანეთით განისაზღვრება, ხოლო საარსებო ზღვარი 18 ათასს უახლოვდება, გამოდის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ხუმრობს.

როგორ მივეჩვიეთ მწარე ხუმრობებს...

დასმულ კითხვებზე, გაცემულ პასუხებში უამრავ დეტალსა თუ ნიუანსზე იყო საუბარი. შეკითხვაზე, არის თუ არა საშველი, პირდაპირი პასუხი კი არ ჩანდა.

— არის თუ არა კუპონის ხსნის რეალური, კონკრეტული საშველი თვინიერ ეკონომიკის გაძლიერებისა? — ეს კითხვა დავუსვი ორ დეპუტატს. აი პასუხები:

თეიმურ ბასილია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე: კი, ბატონო, ეს პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკის აღმავლობას, მაგრამ ეკონომიკას ისე ვერ ვუშველით, თუ არ დავიწყეთ ფულად-საკრედიტო სისტემის რეფორმით. ეკონომიკური რეფორმები ბევრს ძალზე ცალმხრივად წარმოუდგენია, ვთქვათ, პრივატიზაცია და ასე შემდეგ. სინამდვილეში კი, ვიმეორებ, საჭიროა უპირველეს ყოვლისა სწორად განხორციელებული ფულად-საკრედიტო რეფორმა, რომელიც ეკონომიკის აღმავლობის წინაპირობად უნდა იქცეს. აქ არაფერს ვამბობ პოლიტიკურ ფონზე. სანამ ქვეყანაში მშვიდობა არ დამყარდება, ისევე, როგორც ყველა სფეროში, აქაც ძალზე გაგვიჭირდება.

ზურაბ ანდრიაძე, ეკონომიკის კომისიის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ქვეკომისიის თავმჯდომარე: კუპონის დევალვაციის საშველი მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკის მოძლიერებაა. ამას უპირველესად სჭირდება სტაბილური ფონი ვალუტის სახით. ნებისმიერი ფულის ერთეული გარანტირებული უნდა იყოს ორი მხრიდან. 1. ჭარბი ეროვნული პროდუქტი და 2. სესხის სახით აღებული საზღვარგარეთული ვალუტა, რომელიც ეროვნული ფულის გარანტად უნდა გამოვიდეს, რაც შიდა კონვერტაციის საშუალებას მოგვცემს. აუცილებლად უნდა გავარკვიოთ, რა შეფარდება აქვს ჩვენს ფულს (ამ შემთხვევაში კუპონს) სხვა ქვეყნების ფულთან — რუსულ მანეთთან თუ საზღვარგარეთულ ვალუტასთან. სხვა ყოველგვარი ამ პრობლემაზე საუბარი სახუმაროდ დარჩება.

ჯემალ გოგიტიძემ და დავით მელიქიშვილმა ხაზი გაუსვეს კუპონის განმტკიცებაში წარმოების სფეროს ამოქმედების მნიშვნელობას და შეიტანეს წინადადება წარმოდგენილ დადგენილებაში, რომელშიც ეწერა, რომ მინისტრთა კაბინეტმა ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს კუპონის გამაგრების პროგრამა, დაემატოს წარმოების სფეროს ამოქმედების კალენდარულ გრაფიკზე აგებული პროგრამაც.

დადგენილება მიიღეს.

გალინა ხარებაშვილი,
„სრ" საპარლამენტო კორესპონდენტი.

სიტყვა — საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარეს

ნუგზარ ნადარაია:

უეკონომიკოდ არავითარი პოლიტიკა არ არსებობს

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად პოლიტიკური სიტუაცია დაძაბულიაო რომ ვთქვათ, ეს არ იქნება შექმნილი ვითარების ყოვლისმომცველი ლაკონური შეფასება, რადგან ამ მხრივ არსებული მდგომარეობა ბევრად უფრო რთულია და ყველაფერი დუღს და გადმოდუღს, ოღონდ, სამწუხაროდ, არც თუ ისე კარგი გაგებით: ყველანი იმის განურჩევლად, გვეკითხება და გვეხერხება თუ არა ეს საქმე, პირდაპირ გადავეშვით პოლიტიკური ვნებათაღელვის მორევ-ორომტრიალში. ხოლო მთავარი — ყოვლისმამოძრავებელი ეკონომიკა, ანუ ხატოვნად რომ ვთქვათ, პური ჩვენი არსობისა — ლამის არის, ასევე ყველამ დავივიწყეთ.

ამიტომ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქცია „ნეიტრალების" თავმჯდომარეს ნუგზარ ნადარაიას ვთხოვე ინტერვიუ, იმთავითვე შევთავაზე — მთლიანად თუ არა, ძირითადად მაინც ეკონომიკაზე, ამ მხრივ არსებულ ვითარებაზე, პერსპექტივასა და მდგომარეობის გამოსწორების ზოგიერთ კონკრეტულ წინადადებაზე გაგვემახვილებინა ყურადღება.

ცოტა კი შეყოყმანდა — რახან პრესაში მიწევს გამოსვლა, პირადად ჩემი და ჩვენი ფრაქციის სახელითაც პოლიტიკური ცხოვრება-საქმიანობის ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტზეც მინდოდა გამემახვილებინა ყურადღება. მაგრამ იყოს ნება თქვენი, მით უფრო, რომ უეკონომიკოდ არავითარი პოლიტიკა არ არსებობს, და დამთანხმდა.

თუმცა როგორც მკითხველიც დარწმუნდება, ინტერვიუს მსვლელობისას მთლიანად მაინც ვერ ავცდით პოლიტიკას (ეს, ალბათ, იმის ბრალიც არის, რომ, როგორც ჩანს, არც მე მაქვს მიღებული ზემოაღნიშნული „პოლიტომანიის" ვირუსის საწინააღმდეგო საშუალება). და ორიოდ კითხვა-პასუხით მაინც შევეხეთ მას.

— ბატონო ნუგზარ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ დღევანდელი და, საერთოდ, ნებისმიერი ახალი დღის მაჯისცემა მთლიანად გუშინდელი დღით თუ არა განპირობებული, საგრძნობლად მაინც არის მისით ნასაზრდოები. ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ობიექტური მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მათ შორის აშკარად არსებობს. თუ ამაში მეთანხმებით, ძალიან მოკლედ როგორ შეაფასებდით დღევანდელი საქართველოს „გუშინდელ დღეს" — ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, და მეორე, თუ შეკითხვის ეს ნაწილი ჩემის მხრივ თქვენი საზრიანი არსენალის მეტისმეტ შეზღუდვად არ ჩაითვლება, მრავალთაგან გამოყავით მხოლოდ ერთი მომენტი, რომელსაც, თქვენი აზრით, სწორედ დღევანდელობის გათვალისწინებით საქართველოს კეთილდღეობისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

— თუ კითხვას პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში სულაც არ დაწყებულა გუშინ, ან თუნდაც 80-იანი წლების მიწურულს. თუ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ისტორიას გადავხედავთ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ იგი თითქმის მთლიანად სწორედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ეროვნული თავისთავადობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება-დამკვიდრებისთვის ბრძოლის ისტორიაა.

სხვა მხრივ კი გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბოლო წლების ეტაპი, რომელმაც საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოუტანა და დიდი ილიას ერთგვარი პერიფრაზირებით რომ ვთქვათ, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვაყუდნა", უთუოდ გამორჩეულ მომენტად ჩაითვლება ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. რა თქმა უნდა, იყო ხარვეზები და შეცდომებიც, ზოგჯერ მიუტევებელიც, მაგრამ ახლა ერთად უნდა ვიბრძოლოთ მათი თანამდევი უარყოფითი მოვლენების გამოსწორების, ქართველი ერის გამთლიანება-შერიგებისა და, ამდენად, — უკეთესი საქართველოსთვის.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ასე უცებ ერთი რომელიმე კონკრეტული მომენტის გამოყოფა აშკარად მიჭირს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ განსაკუთრებით საჭიროა სწორედ ახლა, ამჟამინდელ მეტად კრიტიკულ სიტუაციაში, ლამის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მდგომთ არ გვიღალატოს რეალობის გრძნობამ, არ დაგვძლიოს ემოციებმა და შევძლოთ როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში სასურველისა და შესაძლებლის ერთმანეთისგან განსხვავება-გამიჯვნა. თუნდაც ყველაზე საუკეთესო, პატრიოტული გრძნობებით შეპყრობილთ არა გვაქვს გაუმართლებელი რისკის გაწევისა და გამოუსწორებელი შეცდომის დაშვების უფლება. სამშობლოს კეთილდღეობისთვის ბრძოლის ლოზუნგით იგივე სამშობლოს დამღუპველი ნაბიჯი არ უნდა გადავდგათ. იქნებ ვინმეს მოეჩვენოს, რომ მეტისმეტად ვამუქებ სიტუაციას, მაგრამ, თუ რეალობას მოვწყდით და, ვიმეორებ, დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით სასურველი შესაძლებლისაგან ვერ გავმიჯნეთ, შეიძლება ამდენი წვითა და დაგვით მოპოვებული დამოუკიდებლობა დავკარგოთ.

და კიდევ, რაც განსაკუთრებით ხაზგასმით მინდა აღვნიშნო. აქსიომურ ჭეშმარიტებას კი ვიმეორებ, მაგრამ ფაქტია: რაც გინდა გულადი მეომრები გყავდეს, ბრძოლას ვერ მოიგებ, თუ მათ გამოცდილ მხედართმთავარს არ უწინამძღვრებ; რაგინდ ხელმარჯვე ოსტატებიც უნდა შეკრიბო, ლამაზ და მკვიდრ შენობას მაინც ვერ ააგებ, თუ მათს გაწაფულ მარჯვენას ჭკვიანი და პროფესიონალი ხუროთმოძღვარი არ განაგებს...

აქედან გამომდინარე, ნურვინ ჩამომართმევს ამას პირფერობად და კონიუნქტურულ მიდგომად, მაგრამ დამეთანხმებით, სათქმელი უნდა ითქვას: საჭიროა, აუცილებელია მოვუსმინოთ, მხარში ამოვუდგეთ, ვიწინამძღვროთ და ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა-თავისუფლებისკენ, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის საკადრისი მომავლისკენ მიმავალ ციცაბო ბილიკებზე დანდობილად გავყვეთ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. ხომ ფაქტია, რომ, თუ ქართველთა შერიგება-ერთიანობა და ურთიერთნდობის ატმოსფერო იქნება, ამ გონიერ ადამიანს, გამოცდილ-გამოწრთობილ მოაზროვნე პოლიტიკოსს შეუძლია საქართველოს ხსნა? რატომ ვუშვებთ ხელიდან ასეთ რეალურ შანსს? ბატონ ედუარდს საღღეისოდ ხომ არც მოწინააღმდეგეებში და არც მომხრეებში ალტერნატივა არა ჰყავს?

ხოლო რაც შეეხება ამა თუ იმ პიროვნებისადმი ნდობა-უნდობლობისა და ამ ბოლო წლებში საქართველოში დატრიალებული ცოდვა-მადლის მისხალ-მისხალ, მიუკერძოებლად და ობიექტურად განსჯის საკითხებს, ამგვარ მსაჯულად ამჟამად ვერავინ გამოვდგებით. ამას მხოლოდ დრო და მომავალი თაობები განსჯიან როგორც ჯერ არს. მომავალ თაობებს კი აოხრებული და გაჩლეჩილი საქართველო არ უნდა დავუტოვოთ, თორემ არ გვაპატიებენ — არც ამჟამინდელ მტყუანთ და არც მართალთ.

— პარლამენტის მუშაობაზე საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა. როგორც პარლამენტარი, როგორ შეაფასებდით მის საქმიანობას და რას გვეტყოდით თქვენი ფრაქციის შესახებაც?

— ერთსულოვან, ერთი მიზნითა და აზრით გაერთიანებულ პარლამენტს რომ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია საქმის სასარგებლოდ, ფაქტია, თუმცა რომელიმე საკითხთან დაკავშირებით პარლამენტარების არც აზრთა სხვადასხვაობა, ცხარე კამათი და ზოგჯერ დაპირისპირებაც კი არ არის გასაკვირი და მუდამ მიუღებელი: ჭეშმარიტება ხომ სწორედ განსხვავებულ აზრთა ჭიდილში იბადება. მთავარია პლატფორმა და მიზანი გვქონდეს ერთი.

ამის გათვალისწინებით ვთვლი, რომ ჩვენი პარლამენტი ძირითადად კონსტრუქციულად, ურთიერთმომთხოვნელობის ვითარებაში მუშაობს. მან ბევრი აქტუალური პრობლემა გადაჭრა და ბევრი საკითხი ამჟამადაც წყდება. განსაკუთრებით გამოვყოფდი სამართლებრივი, საფინანსო და ეკონომიკური პრობლემების კუთხით გაწეულ და მიმდინარე კანონშემოქმედებით მუშაობას, რისი მეოხებითაც ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება კიდეც ამჟამინდელი ქაოსის დაძლევისა და ქვეყნის ფეხზე მკვიდრად დადგომისათვის.

ასე რომ, მართალია ჩვენს პარლამენტს დღესდღეობით ნაკლოვანებები აქვს, მათ შორის ზოგიერთი სერიოზულიც (ამისგან ჩვენ კი არა, ბევრი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი საპარლამენტო მუშაობის ტრადიციათა მქონე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოებიც არ არიან დაზღვეულნი), მაგრამ ამის გამო ყველაფერს ხაზი არ უნდა გადავუსვათ და, როგორც იტყვიან ხოლმე, ნაბან წყალს ბავშვიც არ უნდა გადავაყოლოთ. ამჟამინდელი პარლამენტი ძალიან ბევრ კარგ საქმეს აკეთებს და მეტსაც გააკეთებს. ამის თქმის უფლებას მთლიანობაში პარლამენტის მაღალი ინტელექტუალური დონე და მასში გაერთიანებული პროგრესული ძალები მაძლევენ.

რაც შეეხება ჩვენს ფრაქციას, რომელშიც უპარტიო პარლამენტარები არიან გაერთიანებულნი, იგი ცენტრისტული მიმართულებისაა.

ეკონომიკის კუთხით ქვეყნის კრიზისულ ვითარებიდან გამოყვანისთვის იგი უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებისა და კონკურენციის, საკუთრების ფორმების მრავალსახეობებისა და თანასწორუფლებიანობის, სრულყოფილი საგადასახადო სისტემის ამოქმედების, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარების, საბანკო სისტემის სრულყოფის საფუძველზე მოსახლეობის შრომისა და სოციალური კეთილდღეობის გარანტიების უზრუნველსაყოფად საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამ მიმართულებით იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კონსტრუქციული პოზიციის შემუშავებას და იმ კანონების მიღებისათვის მხარდაჭერას, რომლებიც აუცილებელია ეროვნული მეურნეობის დარგების, მეტადრე კი სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის აღდგენა-გაძლიერებისათვის. ამ კანონთა შორის, მოქალაქეობის შესახებ კანონის შემდეგ, ფრაქცია უპირატესობას ანიჭებს კანონებს საკუთრების, პრივატიზაციის და იჯარის თაობაზე.

მაგრამ დეპუტატის მოღვაწეობა, ცხადია, მარტო საპარლამენტო მუშაობით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. მას მჭიდრო და მუდმივი უშუალო კონტაქტებიც უნდა ჰქონდეს ამომრჩევლებთან, უნდა იცნობდეს და ითვალისწინებდეს კიდეც მუშაობაში მათს მოსაზრებებს, სურვილებსა და წინადადებებს.

სწორედ ამის აუცილებლობის შეგნებით ხელმძღვანელობდა ჩვენი ფრაქცია, როცა მისი ინიციატივით, პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონის შესაბამისად, რესპუბლიკის ყველა საარჩევნო ოლქში შეიქმნა საპარლამენტო წარმომადგენლობები, რომლებიც სხვა საკითხების გადაწყვეტასთან ერთად ადგილებზე საერთო-სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების, მოქალაქეთა უფლებების დაცვის, რეგიონული პრობლემების დამუშავებისათვისაც იღვწიან. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ პარლამენტარს, იმისდა მიუხედავად, პროპორციული წესითაა იგი არჩეული თუ მაჟორიტარულით, შეუძლია რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე თანაბრად ისარგებლოს საპარლამენტო წარმომადგენლობით და სისტემატური უშუალო კავშირი იქონიოს ნებისმიერი კუთხის ამომრჩევლებთან, რაც მათს მუშაობაზე უთუოდ კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს.

— პრივატიზაციის მიმდინარეობას, კერძოდ კი სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის დადგენილების შესახებ რას გვეტყოდით?

— მთლიანობაში მნიშვნელოვანი და საჭირო დოკუმენტია, მაგრამ ბევრი საკითხი მაინც დასაზუსტებელ-გასათვალისწინებელია.

კერძოდ, ქართველი ხალხისა და საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი გარჯითა და შრომით შექმნილი საერთო-სახელმწიფოებრივი ქონება, ეროვნული სიმდიდრე მისი განსახელმწიფოებრიობის დროს, სამართლებრივ-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პრინციპებიდან გამომდინარე, თანაბარი სასტარტო მოცულობით (წილით) უნდა განაწილდეს საქართველოს ყველა მოქალაქეზე. არ უნდა დავუშვათ, რომ ეს საერთო-სახალხო ქონება სხვადასხვა მექანიზმით და, მით უმეტეს, დადგენილებების საფუძველზე ცალკეული პირებისა და ჯგუფების, კაპიტალის მქონე ე. წ. „ელიტარული ფენის" მითვისების საგნად იქცეს.

გადაუდებელი ამოცანაა კანონმდებლობით ცენტრსა და ადგილობრივ რეგიონულ მმართველობას შორის ფუნქციების გამიჯვნა, განაწილება საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების სრული გათვალისწინებით. ეს პროცესი უნდა უსწრებდეს მთავრობის მიერ პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური რეფორმების განხორციელებას, მათ შორის სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის პროცესს.

მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით დაუყოვნებლივ უნდა დაამტკიცოს ნუსხა იმ საწარმოების, გაერთიანებების და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისა, რომელთა სააქციო საზოგადოებებად განკარგვის უფლება ეძლევათ ცენტრს და ადგილობრივ რეგიონალურ თვითმმართველობას. სამწუხაროდ, ასეთი ნუსხა მინისტრთა კაბინეტის ზემოხსენებულ დადგენილებას არ ახლავს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფო საწარმოების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ღონისძიება უნდა ხდებოდეს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის საფუძველზე, ეს სიტყვიერად აღიარებულია აღნიშნულ დადგენილებაში, მაგრამ ასეთი კანონმდებლობა რეალურად არ არსებობს.

გასარკვევი და დასაზუსტებელია, თუ როგორ მოხდება იმ საწარმოთა აქციონირება, რომლებიც ბოლო წლებში, მაშინ არსებული კანონმდებლობით, გაიცა იჯარით შემდგომი გამოსყიდვის უფლებით, რაზეც მოხსენებულ დადგენილებაში არ არის კონკრეტულად მითითებული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. ცნობილია, რომ ყოველნაირად მიუღებელი და გაუმართლებელი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით სახელმწიფო საწარმოების, გაერთიანებებისა და სხვა ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებმა საწარმოების დაუტვირთაობის მომიზეზებით შრომითი კოლექტივების ძირითადი ნაწილი შეამცირეს, ან პენსიაში გაუშვეს. ძირითადად დღეს საწარმოებში დარჩნენ საწარმოთა ხელმძღვანელობასთან დაახლოებული, ე. წ. „სანდო", შინაური პირები. ისმის კითხვა — ვინ მიიღებს ე. წ. შეღავათიან აქციებს საწარმოების კოლექტივის სახელით? ის, ვინც დაიტოვა საწარმოს ხელმძღვანელობამ, თუ ისინიც, ვინც წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელად მუშაობდნენ საწარმოებში? გასარკვევია ხელმძღვანელ და არასაწარმოო სფეროში უშუალოდ მომუშავე მუშაკთა საკანონმდებლო უფლებებიც პრივატიზაციის განხორციელების დროს.

აუცილებლად მიგვაჩნია დაკონკრეტდეს და დასაბუთდეს ის, თუ რა არგუმენტებით იქნა მიჩნეული განსაზოგადოებელ საწარმოთა საბალანსო ღირებულების 100 მილიონი მანეთით განსაზღვრა 1993 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რომელიც ინფლაციის შედეგად თითქმის ყოველდღიურად იცვლება, და რატომ არ იქნა აღებული კრიტერიუმად ამ კატეგორიის საწარმოთა საწყისი საბალანსო ღირებულება 1988 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რომელიც მყარი და უცვლელია...

— საპრივატიზაციო ბარათების, ე. წ. ვაუჩერების შესახებ რას ფიქრობთ თქვენ და თქვენი ფრაქცია?

— პრივატიზაციის პროცესს, რა თქმა უნდა, მივესალმებით, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეების მიერ მიღებული ვაუჩერები თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის და სპეკულაციის საგანი გახდეს. რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებსაც არა აქვთ მიღებული ვაუჩერების პირდაპირი დანიშნულებით გამოყენების სურვილი, უნდა მიეცეთ უფლება, რომ ისინი მიჰყიდონ მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომელიც მათ კვლავ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს მიყიდის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენების პირობით. ჩვენ ვთვლით, რომ ასეთი მიდგომა და პრინციპები უნდა იქნეს გამოყენებული კანონმდებლობით მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის დროსაც.

— თქვენი აზრით, რა რეზერვები გვაქვს და როგორ უნდა ავამოქმედოთ ისინი ეროვნული მეურნეობის აღორძინებისთვის?

— რეზერვი, საბედნიეროდ, ბევრი გვაქვს, რომლებიც, თუ მათ გონივრულად გამოვიყენებთ, უსათუოდ სასიკეთოდ წაადგება საერთო საქმეს. მათგან ამჟამად ძალიან მოკლედ შევეხები მხოლოდ კოლხეთის დაბლობს. მისი მდიდარი კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები, რომელთა ჩამოთვლას არ შევუდგები, პრაქტიკულად მთელი წლის მანძილზე იძლევა მიწათმოქმედებისთვის საჭირო სამუშაოების გაწევის და მის შესაძლებლობით ხალხის სამსახურში ჩაყენების საშუალებას.

როგორ ავამოქმედოთ ისინი? ჩემი აზრით, ამის მიღწევის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა კოლხეთში ამ დაბლობის სასოფლო-სამეურნეო ათვისების დეპარტამენტის — კუთხის პრობლემათა ერთიანი სამეცნიერო ცენტრის შექმნა, რომელიც სრულ სამეურნეო ანგარიშზე იქნება და თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპით იმუშავებს. სწორედ მან უნდა უხელმძღვანელოს ყველა აქაური რეზერვის გამოვლენა-ამოქმედებისთვის მიმდინარე და გასაწევ სამუშაოებს.

საერთოდ საქართველოში კი რეზერვები, როგორც ვთქვი, საკმარისზე მეტიცაა. უთუოდ უნდა შევძლოთ მათი ამოქმედება და ფეხზეც უთუოდ მყარად დავდგებით.

— მაგრამ საამისოდ, ბევრ სხვა რამესთან ერთად, დამეთანხმებით, უწინარესად მაღალკვალიფიციური, საქმის მცოდნე და საქმის მოყვარული კადრებია საჭირო. განსაკუთრებით ადგილებზე, სადაც პრაქტიკულად წყდება საქმის ბედი. ამის გათვალისწინებით, რას გვეტყოდით ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის თაობაზე?

— ეს კანონი რომ აუცილებელია, ფაქტია. მაგრამ მასშიც ბევრი რამ არის დასაზუსტებელი.

კერძოდ, დასაკონკრეტებელია კანონპროექტში მოცემული ურთიერთმიმართება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს — ერობასა და გამგებელს (მერს, მამასახლისს) შორის, რადგან კანონპროექტის თანახმად გამგებელს საერთოდ არა აქვს დამოუკიდებელი ფუნქციები, მისი თითქმის ყოველი გადაწყვეტილება ერობის და, რაც განსაკუთრებით კურიოზულია, ერობის შესაბამისი მუდმივი კომისიების თანხმობით უნდა დამტკიცდეს.

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული ის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ გამგებლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კომპეტენტურობა, ხოლო ერობისა კი — როგორც წარმომადგენლობითი ორგანოსი — უზრუნველყოფს ის, რომ ეს გადაწყვეტილებები შეესაბამებოდეს მოქალაქეთა ინტერესებს.

ხოლო რაც შეეხება ზოგადად კადრებს, ადამიანებს, რომლებმაც ეროვნული მეურნეობის კონკრეტულ დარგებსა თუ უბნებს უნდა უხელმძღვანელონ, მათი შერჩევისას მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს საქმიანი თვისებები, პროფესიონალიზმი და პატრიოტიზმი. ნებისმიერი ქართველის უმაღლესი და უპირველესი პარტიულობა ხომ საქართველო და მისი სიყვარულია (ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს!).

აი, სწორედ და მხოლოდ საქართველოს სიყვარულითა და ერთგულებით გაერთიანებით და შეკრულობით, ერთად ვილაშქრებთ უკეთესი საქართველოსთვის. ხოლო ამისთვის კი ნაღდად ღირს შეუპოვრობაც, მუხლჩაუხრელი შრომაც და თავგანწირვაც კი.

ესაუბრა **რუსლან რუსია.**

თუმცა ომია...

რათა არ მოცდეს მარჩენალი მიწა

სოხუმის რაიონის მშრომელები ომის მიუხედავადაც ამუშავებენ ნიადაგს

ცნობილია, რომ აფხაზეთში მიმდინარე ომის საბრძოლო ოპერაციების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი სოხუმის რაიონის ტერიტორიაზე ხდება. რაიონის სოფლების, დასახლებული უბნების გარკვეული ნაწილი მოწინააღმდეგის კონტროლს ექვემდებარება და ფრონტის ხაზი მდინარე გუმისთაზე გადის.

ჩვენ შევხვდით სოხუმის რაიონის გამგებელს ბატონ მერაბ დგებუაძეს და ვთხოვეთ მოკლედ მოეთხრო, თუ რა მდგომარეობაა დღეისათვის რაიონში, როგორი ურთიერთობაა ამ ფრონტისპირა რაიონის მოსახლეობასა და სამხედროებს შორის.. აი, რა გვითხრა მან:

— ჩვენი რაიონის მოსახლეობა უშუალოდ მჭიდრო კავშირშია სამხედროებთან, საბრძოლო პოზიციებთან. ეს გარემოება კი ორმაგ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. რაიონის მშრომელები ძალღონესა და ენერგიას არ იშურებენ, რათა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ძმათამკვლელი ომის რაც შეიძლება მალე წარმატებით დამთავრებას. ჩვენი რაიონის ზემო კელასურის, აბჟაყვას, შრომის, ოდიშის, ახალსოფლის, ჰადარის და სხვა სოფლების ასობით ვაჟკაცი დღეს სამშობლოს დამცველთა რიგებში დგას და იგერიებს აფხაზი სეპარატისტების მიერ შეკოწიწებული სხვადასხვა ჯურის გადამთიელთა შემოტევას.

რაიონის ხელმძღვანელობა ომის დაწყებიდან დღემდე ყოველ ღონეს ხმარობს მეომართა ოჯახების დახმარებისათვის. ამ მიზნით მათ უსასყიდლოდ გადავეცით 50 ტონა პურის ფქვილი, ფრონტზე დაღუპულთა და დაჭრილთა ყოველ ოჯახს კი საბიუჯეტო სახსრებიდან ერთდროული დახმარების სახით გადავეცით 15-15 ათასი მანეთი ფულად, ასევე, მათ გავუგზავნეთ პურის ფქვილი, ბრინჯი, შაქარი და სხვა სასურსათო პროდუქტები. მეომართა ოჯახებისთვის დავიწყეთ მიწების განაწილება დროებითი სარგებლობისთვის. პირველ რიგში ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ ის ოჯახები, რომლებიც ფრონტის ხაზის ახლოს ცხოვრობენ და ადგილზე არა აქვთ მიწის დამუშავების საშუალება. ამ მიზნით გადავწყვიტეთ მათთვის სახნავ-სათესი ადგილები გამოგვეყო მეზობელი სოფლების — იაშთხვისა და თავისუფლების ტერიტორიებზე. მეურნეობათა ხელმძღვანელები ჩვენი დავალებით პრაქტიკულ სათანადო დახმარებას უწევენ მეომართა ოჯახებს მიწის დამუშავებაში.

ასევე, გადაწყდა, რომ ლტოლვილებს მათივე თხოვნით დროებით სარგებლობაში პირადი მეურნეობის მოსაწყობად უსასყიდლოდ გამოუყონ რამდენიმე ჰექტარი მიწის ნაკვეთი. მათ ასევე უსასყიდლოდ დაეხმარებიან ტექნიკით, საწვავით, სასუქებით. ლტოლვილთა მეურნეობები განლაგდება რაიონის ერთ რომელიმე სოფელში.

ჩვენი რაიონი ძირითადად მიწათმოქმედების რაიონია. მისი ეკონომიკის აღდგენა-განვითარება დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, რომ უქმად არ მოცდეს არცერთი გოჯი სავარგული, რომლის დამუშავებაც დღეისათვის შესაძლებელია. სახნავ-სათესი მიწის ფართობი, რომელიც ქართულ საჯარისო ფორმირებათა კონტროლს ექვემდებარება და რომლის დამუშავება უსაფრთხოდ შესაძლებელია, 1100 ჰექტარს აღწევს. რაიონი უზრუნველყოფილია სახნავ-სათესი ტექნიკის საკმარისი რაოდენობით. გარდა ამისა, სახელმწიფოს მეთაურის უშუალო მითითებით ავტონომიურ რესპუბლიკას სამუშაოების ჩასატარებლად უსასყიდლოდ გადაეცა 59 ერთეული სატვირთო ავტომანქანა, რომელთაგან 5 ჩვენმა რაიონმა მიიღო. ამ დღეებში მივიღეთ საჭირო რაოდენობის საწვავი, სასუქები და შხამ-ქიმიკატებიც. უზრუნველყოფილი ვართ თამბაქოს თესლით, მიღებულია ზომები და შეფერხებას ადგილი არა აქვს სიმინდის და სხვა კულტურების თესლით მომარაგებაშიც. სათანადო ყურადღებას ვაქცევთ მეჩაიეობასაც. ნავარაუდევია წლეულს სახელმწიფოს 800 ტონამდე ჩაის პროდუქცია მივყიდოთ. იქ, სადაც შესაძლებელი იყო მეჩაიეებმა დროულად ჩაატარეს აგროქიმიური და საკულტივაციო სამუშაოები. ასეთივე სახის სამუშაოები მოეწყო ციტრუსოვანთა პლანტაციებშიც. გასულმა სუსხიანმა ზამთარმა დიდი ზიანი მიაყენა მეციტრუსეობას. დაზიანებულია და მოყინულია ციტრუსოვანთა ნარგავების ნაწილი და სწორედ დროულად ჩატარებულ პროფილაქტიკურ სამუშაოებზე დიდად იქნება დამოკიდებული წლევანდელი მოსავლის ბედი.

ცხადია, ჩვენი სოფლების მშრომელებს ფრონტის სიახლოვის გამო მეტად სახიფათო პირობებში უხდებათ მუშაობა, მაგრამ ისინი მაინც მონდომებით იკიდებენ საქმეს, ბევრი კიდევ დამოუკიდებლად ამუშავებს თავის საკარმიდამო ნაკვეთებს, რადგანაც კარგად აქვს შეგნებული, რომ ეკონომიკის აღდგენა, მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით მომარაგება დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარიმართება სოფლად მინდვრის სამუშაოები.

ესაუბრა **იოსებ გოგეჩია.**

ტრანსპორტი: პრობლემები, პერსპექტივა

დამოუკიდებელ საქართველოს —დამოუკიდებელი რკინიგზა

განუზომელია ტრანსპორტის როლი ხალხის ცხოვრებაში, უტრანსპორტოდ ვერ შევქმნით პროდუქციას, ვერ გავაიაფებთ მასზე გაწეულ ხარჯებს. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის გამართულ მუშაობას და ხარისხს. იგი ვერ ითმენს ნებისმიერი საკითხის არაკვალიფიციურ გადაწყვეტას, რადგან მას შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს არა მარტო ტრანსპორტს, არამედ რესპუბლიკის მთელ ეკონომიკას და მუხრუჭად იქცეს მის აღორძინებაში, ამიტომ, ბუნებრივია, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ეფექტიანად გამოვიყენოთ რესპუბლიკის სატრანსპორტო სისტემა, პირველ რიგში კი რკინიგზის ტრანსპორტი, რომელსაც მუშაობის დიდი პოტენციალი გააჩნია.

საქართველოს რკინიგზის ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად ახლო წარსულში დიდი მასშტაბის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები შესრულდა. ასე რომ, რკინიგზას დღეისათვის მძლავრი ტექნიკური ბაზა აქვს, მაგრამ ვიყენებთ კი მას სრულყოფილად? არა, შეიძლება ითქვას, რომ მისი სიმძლავრის მხოლოდ 10-20 პროცენტს თუ ვიყენებთ. რკინიგზაზე ბოლო 5-6 წლის მანძილზე არნახული ტემპით შემცირდა ტვირთზიდვა. თუ 1985 წელს დღე-ღამეში საშუალოდ იტვირთებოდა 115 ათასი ტონა სხვადასხვა სახის პროდუქცია, ხოლო მეზობელი ქვეყნებიდან ღებულობდა 110 ათას ტონა ტვირთს, წლეულს პირველი ციფრი 15 ათასამდე შემცირდა, ხოლო მეორე — 18 ათასამდე. ყოველივე ეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის მუშაობის მოშლაზე მეტყველებს, რაც ფაქტობრივად საბჭოთა იმპერიის დაშლამ გამოიწვია. იმპერიის დაშლას კი საქართველო, შეიძლება ითქვას, სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. მოიშალა საწარმოო პროცესები, დაეცა პროდუქციის წარმოება, წარმოიშვა სხვადასხვა სახის ხარვეზები, ხელოვნურად შექმნილი ბლოკადები, გართულებები. ქვეყანა მძიმე კრიზისში ჩავარდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სატრანსპორტო სისტემა, კერძოდ, რკინიგზა რესპუბლიკის ბიუჯეტის შესანახი გახდა.

როგორ ვუშველოთ? უპირველესად, უნდა ვიზრუნოთ რკინიგზის სიმძლავრის მაქსიმალური გამოყენებისათვის, რასაც მივაღწევთ როგორც ადგილობრივი, ისე სატრანზიტო ტვირთზიდვის გადიდებით. რაკი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცხოვრებას ვაპირებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს 2-5 წელიწადში ჩვენში საგრძნობლად გაიზრდება როგორც პროდუქციის წარმოება, ისე მეზობელი ქვეყნებიდან ტვირთის მიღება. წინასწარი გაანგარიშებით წარმოქმნილი ტვირთნაკადი რკინიგზის სიმძლავრეს მხოლოდ 30-35 პროცენტით დატვირთავს. ეს კი ნიშნავს, რომ აუთვისებელი დარჩება ტვირთზიდვის დიდი რეზერვი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი ათვისება მომავალში არა მარტო დიდ სიკეთეს მოუტანს რკინიგზის კოლექტივებს, არამედ ათეულ მილიონობით კონვერტირებულ ვალუტასაც შემატებს ქვეყნის ბიუჯეტს.

ოღონდ ამისთვის დღესვე უნდა ვიზრუნოთ. უნდა ვისარგებლოთ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით და საერთაშორისო სატრანსპორტო ბაზარზე მოვძებნოთ სატრანზიტო ტვირთი, რომლის მოზიდვისათვის დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბოლო წლებში სარკინიგზო, საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტის განვითარებამ ტვირთზიდვის ახალი გზები წარმოშვა, მნიშვნელოვნად შეიცვალა ტვირთნაკადის მოძრაობის სქემები და საქართველოს რკინიგზასაც სერიოზული კონკურენტები გაუჩნდა. ერთ-ერთ ასეთ კონკურენტად უნდა მივიჩნიოთ ახლახან მსოფლიოში გახმაურებული ტრანსკონტინენტური სტამბოლ-პეკინის რკინიგზის მაგისტრალი, რომელიც სულ მოკლე დროში ამოქმედდება. ამჟამად ამ მაგისტრალის გამთლიანებისთვის ირანისა და შუა აზიის რესპუბლიკების ტერიტორიებზე გაცხოველებული სამუშაოები მიმდინარეობს. ირანში მეშხედიდან სერახსამდე შენდება 175 კილომეტრი სიგრძის შემაერთებელი რკინიგზის ხაზი, ხოლო თურქმენეთში — სერახსიდან თედჟენამდე 130 კილომეტრიანი ხაზი. აღნიშნული ხაზების დამთავრების შემდეგ ირანისა და შუა აზიის რესპუბლიკების გავლით გაიხსნება ევროპა-აზიის ქვეყნების დამაკავშირებელი რკინიგზის მაგისტრალი (სტამბოლი-თეირანი-მეშხედი-ტაშკენტი-ალმა-ათა-პეკინი), რომლის საექსპლოატაციო სიგრძე დაახლოებით 10 ათასი კილომეტრია. ეს იქნება კონკურენტუნარიანი უნიკალური ფოლადის მაგისტრალი, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთზიდვას შუალედური სატვირთო ოპერაციების გარეშე, რაც ყოველმხრივ ხელსაყრელი იქნება ნებისმიერი ქვეყნისათვის. ამასთან თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლო მომავალში თურქეთი სარკინიგზო ხაზით დაუკავშირდება აზერბაიჯანს, გამოდის, რომ ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის ტვირთზიდვის კიდევ ერთი ახალი გზა წარმოიქმნება. ამდენად, საქმე გვექნება სერიოზულ სატრანსპორტო კონკურენციასთან, რომლის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება არასწორ დასკვნებამდე მიგვიყვანოს.

რაც შეეხება განედურ სახმელეთო სატრანსპორტო კავშირს, აქ ძირითადი რკინიგზის ტრანსპორტია, რომელიც ჩრდილოეთიდან ევროპის ქვეყნებს (ამიერკავკასიის გავლით) ახლო აღმოსავლეთისა და მის მეზობელ ქვეყნებთან აკავშირებს, იგი თითქმის საქართველოს გვერდის ავლით გადის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტუაფსე-ადლერ-სამტრედიის რკინიგზას, რომლის გამტარუნარიანობა, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, თითქმის მთლიანად დაკავებულია სამგზავრო გადაზიდვებით. ამდენად, აღნიშნულ გზას მხოლოდ მცირე მოცულობის სატრანზიტო ტვირთის ათვისება შეუძლია, ჩვენი საავტომობილო გზები კი საერთაშორისო ტვირთზიდვისათვის თითქმის უვარგისია. ფაქტობრივად საქართველოს გავლით სრულყოფილი განედური სახმელეთო გზა არ გაგვაჩნია. სწორედ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ოთხმოციანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა კავკასიის ელექტროფიცირებული საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა, რომელიც საქართველოს გავლით უმოკლესი გზით უზრუნველყოფდა სატრანზიტო ტვირთზიდვას ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით და, პირიქით. სამწუხაროდ, იგი პოლიტიკურ თამაშს შეეწირა და რკინიგზის მშენებლობა გაურკვეველი ვადით გადაიდო. საქართველომ დაკარგა სატრანზიტო ტვირთზიდვის გადიდების რეალური საშუალება, რომელსაც დიდი სიკეთის მოტანა შეეძლო.

და მაინც რა შეუძლია საქართველოს რკინიგზას? არსებული ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში, მას დღეღამეში შეუძლია გადაზიდოს სულ მცირე 360 ათასი ტონა ტვირთი, ანუ წელიწადში 130 მილიონი ტონა. ამასთან, შესაძლებელია გზის ყველა უბანზე მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს მგზავრთა გადაყვანაზე მოსახლეობის მოთხოვნები. ეს ასეა, მაგრამ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებს წელიწადში მხოლოდ 10 მილიონამდე ტონა ტვირთის გადამუშავება შეუძლიათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათ მიერ ათვისებული ტვირთნაკადი სანახევროდაც ვერ დატვირთავს საქართველოს რკინიგზას. ამიტომ პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ საზღვაო ნავსადგურების სიმძლავრის გადიდებისათვის.

ამის მიუხედავად, რკინიგზისა და ნავსადგურების არსებული სიმძლავრეები საშუალებას გვაძლევს ყოველგვარი კაპიტალური დაბანდების გარეშე საკმაოდ დიდი მოცულობის სატრანზიტო ტვირთი ავითვისოთ, რასაც მილიონობით კონვერტირებული ვალუტა შეუძლია შემატოს რესპუბლიკას. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაიშლება მუშაობა საერთაშორისო სატრანსპორტო ბაზარზე. აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა არხი და შესაძლებლობა, რათა პროპაგანდა გავუწიოთ საქართველოს გზით სატრანზიტო ტვირთზიდვას, რომლის ორგანიზაცია უნდა დაევალოს ტრანსპორტის გამოცდილ სპეციალისტებს და არა შემთხვევით ადამიანებს. ამასთან, საერთაშორისო ტვირთზიდვის ორგანიზაცია მოითხოვს დროულად დამუშავდეს საერთაშორისო ტარიფები, მოძრავი შემადგენლობის გამოყენების და მატერიალური პასუხისმგებლობის ნორმატივები, ტვირთზიდვის პირობები და სხვა საკითხები, რომლებიც ასეთ გადაზიდვებთან არის დაკავშირებული.

ასეთ დროს, როცა საქართველოს რკინიგზის სიმძლავრე სანახევროდაც არ არის გამოყენებული, თანაც მისი გადიდების დიდი პერსპექტივა გააჩნია, ზოგიერთი უწყება აყენებს საკითხს რესპუბლიკის საზღვაო ნავსადგურებიდან სატრანზიტო ტვირთზიდვა ძირითადად საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდეს. ამისათვის ისინი საჭიროდ მიიჩნევენ არსებული მაგისტრალური საავტომობილო გზის პარალელურად აშენდეს ახალი, სატრანზიტო ტვირთზიდვისათვის სპეციალიზებული ექვსზოლიანი ავტოსტრადა, რაზეც ყოველდღიურად ათეულობით ათასი მძლავრი სატვირთო ავტომობილი იმოძრავებს. იმას კი აღარ ითვალისწინებენ, რომ ეს რესპუბლიკაში შექმნის მეტად რთულ ეკოლოგიურ ვითარებას, თანაც მოითხოვს დიდ ტერიტორიას.

ვფიქრობ, ვიდრე რაიმე მოსაზრებას წამოვაყენებდეთ, ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ, კარგად შევისწავლოთ (როგორც რკინიგზის, ისე საავტომობილო ტრანსპორტის) ეკოლოგიური, ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლები, შევაჯეროთ ისინი და შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ რკინიგზის შესაძლებლობანი, რომელსაც მატარებლის ცოცხალი ძალის გამოყენებით შეუძლია ათეულობით მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია აწარმოოს. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველდღიურად თითქმის უფასო ელექტროენერგიით რამდენიმე მატარებელმა იმოძრაოს.

როგორც ვხედავთ, საკითხი სერიოზულია და მისი დილეტანტურად განხილვა ყოვლად დაუშვებელია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დამოუკიდებელი საქართველოს სატრანსპორტო სისტემა მართვის სტრუქტურის სრულყოფას მოითხოვს. მართალია ყველა სახის ტრანსპორტი ერთ საქმეს ემსახურება, მაგრამ თითოეულის მუშაობის ხასიათი, ტექნოლოგია და მართვა ხომ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. განსაკუთრებით რთულია რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ორგანიზაცია. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახლო მომავალში საავტომობილო ტრანსპორტი კერძო საკუთრებაში გადავა (პროცესი დაწყებულია), პრივატიზაცია გავრცელდება საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტზეც. მხოლოდ რესპუბლიკის ძირითადი სატრანსპორტო ორგანიზაცია — რკინიგზა დარჩება სახელმწიფო საკუთრებაში.

რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვს, ყველა სახის ტრანსპორტის მუშაობის კოორდინაციას. ასეთ დროს ალბათ საჭირო იყო ქვეყნის წამყვანი ტრანსპორტის — რკინიგზის ბაზაზე შექმნილიყო ერთიანი ტრანსპორტის სამინისტრო, რომელიც ძირითადად წარმართავდა რკინიგზის საქმიანობას და კოორდინაციას გაუწევდა დანარჩენი ტრანსპორტის მუშაობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. საქართველოს ყოფილმა მთავრობამ ეს საკითხი ძალიან მარტივად გადაწყვიტა: ყველა სახის ტრანსპორტი დაუმორჩილა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და დაარქვა მას ტრანსპორტის სამინისტრო. იმ დროს, როცა რკინიგზის ტვირთბრუნვა საავტომობილოსას ექვსჯერ აღემატება. ბუნებრივია, ასეთი სამინისტრო, სადაც ხელმძღვანელობაც და აპარატიც მხოლოდ საავტომობილო ტრანსპორტის სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული, ვერ ჩასწვდება როგორც რკინიგზის, ისე საზღვაო და საავიაციო ტრანსპორტის საქმიანობას. შედეგიც სახეზეა.

დღეს ტრანსპორტზე მეტად დამაფიქრებელი მდგომარეობაა შექმნილი, მაგრამ ეს საკითხი ხშირად არასპეციალისტების მსჯელობის საგანი ხდება, რაც ძალაუნებურად მოგვაგონებს კომუნისტური რეჟიმის დროს ე. წ. „პარტიული მუშაკის" ყოვლისმცოდნეობას. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა, როცა საქმე რკინიგზის ტრანსპორტს ეხება. არ შეიძლება მას მხოლოდ მომხმარებლის თვალით ვუყურებდეთ, საჭიროა ღრმად ჩავწვდეთ რკინიგზის მუშაობის რთულ ტექნოლოგიას და სწორად განვსაზღვროთ მისი როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოში, წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზული დილემის წინაშე აღმოვჩნდებით.

ეს საკითხი დროულად შესწავლას და გადაწყვეტას მოითხოვს. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტიც, რომ საქართველოს რკინიგზა დღემდე რუსეთის რკინიგზის დაქვემდებარებაშია. ნუთუ არ დადგა დრო, საქართველოს რკინიგზა საქართველოსვე ეკუთვნოდეს? დიახ, დროა, ჩვენი რკინიგზა იურიდიულად გამოეყოს რუსეთის რკინიგზას. მათი ტექნიკური და კომერციული კავშირურთიერთობა ქვეყნებს შორის სატრანსპორტო ხელშეკრულების საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს.

ლევან მარდოხანიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, პარლამენტის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიზნესმენი: ვინ არის იგი?

დავით კაკაბაძე,
რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.

მართლაც, ვინ არის ბიზნესმენი? — ჩვენ დიდი ხნის მანძილზე გვარწმუნებდნენ, რომ ეს არის საქმიანი კაცი, ადამიანი, რომელიც მიისწრაფვის ყველაფრისგან მიიღოს სარგებელი, არ დაზოგოს არავინ და არაფერი პირადი გამორჩენის მიზნით. წლების მანძილზე საქმიან და გერგილიან ადამიანებს ასეც ვუცქეროდით. ახლა უკვე ბიზნესმენები ველარ გვაშინებენ, ის დრო წავიდა.

ინგლისურიდან ბიზნესი ითარგმნება როგორც საქმე, მეცადინეობა, ბიზნესმენი —უბრალოდ საქმიანი, გერგილიანი კაცი. სწორედ ასეთი ადამიანები გვაკლია ჩვენ დღეს ასე მწვავედ, რათა დავძლიოთ ჩამორჩენა, დავწინაურდეთ ყოველმხრივ, განსაკუთრებით ეკონომიკურად. არადა, როგორც სოციოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს, სამეურნეო ხელმძღვანელობის საკმაო ნაწილს ნაკლებად აქვს წარმოდგენა მეწარმეობაზე, ბიზნესზე.

ახლა საქმიან ადამიანებს, თითქოს, მინიჭებული აქვთ მოქმედების თავისუფლება. მაგრამ თუ ავტომობილის საჭეს მიუჯდები, მართვაც უნდა შეგეძლოს. პროფესიული მოქმედებისათვის ჩვენს ბიზნესმენებს ჯერ კიდევ არ ყოფნით სათანადო ცოდნა, გამოცდილება. ეს მთლიანად ეხება სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოების, კორპორაციების მუშაკებსაც.

მეორე პრობლემა ასეთია. თუ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებას კონკურენცია ამოძრავებს, ჩვენთან ამან ჯერ კიდევ სრულად ვერ მოიკიდა ფეხი. ჩვენ ადვილად მივეჩვიეთ კონკურენციას გავუკეთოთ ასეთი „ტრაქტოვკა“: „ერთი შთანთქავს მეორეს“. მაგრამ ახლა სხვა დროა. ჩვენთან უკვე შეიქმნა კონკურენციის საფუძველი.

რა არის ბიზნესის დანიშნულება და მიზანი?—მენეჯმენტის განვითარების თანამედროვე ეტაპის ფუძემდებლის პიტერ დრაკერის აზრით, ბიზნესის დანიშნულება ერთია: შექმნას მომხმარებელი.

ბაზრებს არ ქმნის ღმერთი, ბუნება ან ეკონომიკური ძალები. მათ ქმნიან ბიზნესმენები. სურვილები, რომლებსაც აკმაყოფილებს ბიზნესი, მომხმარებელმა შეიძლება იგრძნოს მანამდე, ვიდრე მას შესთავაზებენ მათი დაკმაყოფილების ხერხებს. საჭმლის მსგავსად, მისი უკმარისობისას სურვილებს შეუძლიათ იბატონონ მომხმარებლის ცხოვრებაში, მაგრამ ისინი დარჩებიან პოტენციურ სურვილებად, ვიდრე ბიზნესმენთა მოქმედება არ გადააქცევს მათ აშკარა გამოხატულ მოთხოვნილებად. მხოლოდ მაშინ გაჩნდება სცენაზე მომხმარებელი და ბაზარი.

არავის, გარდა მომხმარებლისა, არ შეუძლია ბიზნესის არსის განსაზღვრა. ის, რასაც მომხმარებელი თვლის ღირსეულად თავის ნაყიდში, არის გადამწყვეტი და განსაზღვრავს, რა არის ბიზნესი, რას აწარმოებს იგი და აყვავდება თუ არა იგი მომავალში.

მომხმარებელი წარმატების საფუძველია. იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილებები და სურვილები, საზოგადოება აბანდებს სახსრებს ბიზნესის საწარმოში. თუ საწარმო ზრუნავს ხანგრძლივვადიან აყვავებაზე, მან პერიოდულად უნდა გამონახოს სწორი პასუხი კითხვაზე: „რას წარმოადგენს საწარმოს ბიზნესი დღეს?“.

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ისეთი აყვავებული ფირმების წარმატების საიდუმლოება, როგორიც არის თუნდაც, ამერიკული „სიარსი“, აშშ და ინგლისური „სპენსერი“. ასაღებდა რა პროდუქციას, მაგალითად, „სიარსი“— საცალო ვაჭრობის უმსხვილესი საწარმო — 100 წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე იღებდა სწორ გადაწყვეტილებებს და პრაქტიკულად ახორციელებდა მათ. „სიარს“-მა დროულად დააყენა სწორი კითხვები. „რას წარმოადგენს კომპანიის ბიზნესი დღეს“? „როგორი იქნება იგი?“

მენეჯმენტის დარგში წამყვანი ამერიკელი კონსულტანტების შეფასებით, ყოველი ბიზნესი წარმატებული იქნება, თუ იგი თავის ყურადღებას გაამახვილებს ისეთ ადამიანთა ძიებასა და გამოყენებაზე, რომლებიც:

1) დაუფლებული არიან 8 ძირითად თვისებას (მტკიცე ხასიათი, ინიციატივა, სურვილი —ემსახუროს ადამიანებს, ინტელექტი, საქმეში ჩახედულობა და გაგება, წინდახედულობა და მოქნილობა);

2) კონცეპტუალურად და სტრატეგიულად აზროვნებენ;

3) შეუძლიათ უხელმძღვანელონ ბიზნესს სოციალური თვისებების გათვალისწინებით;

4) შეუძლიათ დაეხმარონ ბიზნესს თავი გაართვას სამთავრობო რეგულირებას;

5) შეუძლიათ უხელმძღვანელონ ბიზნესს, ეფექტიანად მართონ მისი ადამიანური რესურსები.

კაპიტალისტურ ქვეყნებში 60-იანი წლების ბოლო და 70-იანის დასაწყისი აღინიშნა წვრილი ბიზნესის აყვავებით, რაც თავის პოზიციებს დღესაც განიმტკიცებს.

რას ნიშნავს ცნება „წვრილი ბიზნესი“? მას მიეკუთვნება ფირმები, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი საკუთრება, ფლობენ სამეურნეო დამოუკიდებლობას და არ დომინირებენ საქმიანობის თავიანთ სფეროში. დასავლეთში მცირე ფირმებს აკუთვნებენ ისეთებს, სადაც დასაქმებულია არა უმეტეს 500 კაცისა და საქონლის მიმოქცევის მოცულობა არ აღემატება 20 მილიონ დოლარს.

წვრილ საწარმოებს ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი მოქნილები არიან, ადვილად და სწრაფად მოერგებიან ხოლმე ბაზრის კონიუნქტურასა და ცვლილებებს თვით წარმოებაში. წვრილი ბიზნესის აყვავებას აქ უკავშირებენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

ბიზნესის აყვავება წარმოუდგენელია მაღალი ცოდნისა და პროფესიონალიზმის გარეშე. ამ მხრივ, ცხადია, ბევრი შეგვიძლია ვისწავლოთ და გადმოვიღოთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებიდან.

გზა გამდიდრებისკენ

ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, ბიზნესის მართვის სფეროში შექმნილია სპეციალური სასწავლო დაწესებულებები, სადაც ყოველწლიურად სწავლობს დაახლოებით 10 ათასი კაცი. კვალიფიკაციის ამაღლება აქ მიჩნეულია ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად. იგი არანაკლებ როლს ასრულებს ბიზნესისათვის, ვიდრე კაპიტალდაბანდება წარმოების საშუალებებში.

ძალზე საინტერესოა ბიზნესის ევროპული სკოლის პრაქტიკა, გერმანიაში რომ არსებობს. აქ ასწავლიან არა მარტო შტატიანი პროფესორები, არამედ ძირითადად გარედან მოწვეულები — მსხვილი მეწარმეები, სხვადასხვა კომპანიის, სამმართველოს წევრები და სხვ. ბიზნესის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნილება ძალზე დიდია, რადგან აქ სწავლების ხარისხი მაღალია.

განსაკუთრებით ყურადღების მისაქცევია ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება; ყველა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში ბიზნესის სკოლები უწინარესად ასწავლიან ადამიანებთან მუშაობას, ადამიანის ფაქტორს განიხილავენ როგორც პირველხარისხოვანს. სწავლება ხორციელდება ცხოვრების რეალურ პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულად. ეწყობა სწავლების დროს სპეციალური საქმიანი თამაშები, იმიტირებას უკეთებენ მოლაპარაკებას, სადაც თითოეული მხარე წინასწარ ანაწილებს თავის როლს: ერთი აქტიურად ვაჭრობს, მეორე, დავუშვათ, ატმოსფეროს განმუხტავს მასხრობით, მესამე მოულოდნელად სთავაზობს კომპრომისულ გადაწყვეტილებებს და ა. შ. ყველაფერი ეს იწერება ვიდეოფირზე, შემდეგ არჩევენ მას და სხვ.

საერთოდ, მიღებულია, სპეციალისტს, რომელიც ბიზნესის სკოლას ამთავრებს, უნდა ჰქონდეს სრული წარმოდგენა ფირმის ყველა ფუნქციაზე. იგი მოვალეა ფლობდეს ეკონომიკის, ფინანსების, ტექნიკისა და მართვის საშუალებებს. მომზადების მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ ბიზნესის თითოეული სფეროსთვის ამზადებენ თავის სპეციალისტებს.

დასავლეთში დარწმუნებული არიან, რომ სწორედ ადამიანები, მათი პროფესიული მომზადება, შრომის ეფექტიანობა, მუშაობისადმი დამოკიდებულება, ფსიქოლოგიური კომფორტი, განწყობა ხდება ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი.

რაც შეეხება ჩვენს რესპუბლიკას, აქ ბევრი უმაღლესი სასწავლებელი ხსნის ბიზნესის სხვადასხვანაირ სკოლას, კურსებს. მათი მუშაობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გარკვეული გამოცდილება არის. მაგალითად, საქართველოს ბიზნესის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტმა 1992 წლის ნოემბერში გამოაცხადა მიღება ფასიან მოსამზადებელ კურსებზე შემდეგი ფაკულტეტებისათვის — საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზაცია და სამარკეტინგო სამართალი, ბიზნესის ორგანიზაცია; კვების მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი. აბიტურიენტები მოემზადნენ იმ საგნებში, რომლებშიც მოეწყო ტესტირება-გასაუბრება, კურსდამთავრებულები უკონკურსოდ ჩაირიცხნენ ინსტიტუტში, სტუდენტები გაცვლის სახით სტაჟირებას გაივლიან საზღვარგარეთ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ის, რაც კეთდება ამ მხრივ, საკმარისი არ არის. ჩვენი ამოცანაა კურსდამთავრებულებს შეეძლოთ აქტიური საკონსულტაციო საქმიანობა, გააანალიზონ მსოფლიო კომერციული კონიუნქტურა, სასაქონლო და სავალუტო ბაზრების მდგომარეობა, ჩაატარონ პროექტებისა და დამუშავებების ექსპერტიზა, მოაგვარონ მეცნიერული, ეკონომიკური და ტექნიკური ინფორმაციების გაცვლა და სხვ.

მისასალმებელია, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში გაძლიერდა ინტერესი ბიზნესის პრობლემებისადმი, შარშან სექტემბერში თვით ბატონი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ქართველ ბიზნესმენთა ჯგუფს, სადაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს გარკვეული, საბოლოოდ ჩამოყალიბებული პროგრამა, მაგრამ ნათლად იკვეთება იმის ტენდენცია, რომ მიმდინარეობს ქართული ბიზნესის ფორმირება. საერთოდ, ეს ძალზე მტკივნეული პროცესია. ბიზნესის განვითარებაში ვხედავთ აყვავებული და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს მომავალს. ბიზნესი ბრძოლაა, ხშირად სასტიკიც, რომელშიც იმარჯვებს ის, ვინც უფრო ძლიერია. ქართველმა ბიზნესმენებმა ბევრი რამ უნდა ისწავლონ, გავიდნენ საზღვარგარეთ, რუსეთში, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯები გადაიდგა. ახალგაზრდა ქართველი ბიზნესმენები შარშან დეკემბერში ინგლისში ორი კვირის განმავლობაში ეცნობოდნენ საბანკო საქმეს, სადაზღვევო საზოგადოებათა სხვადასხვა ფორმისა და კომპანიის მუშაობას. შეხვედრებმა სხვადასხვა ფირმის წარმომადგენლებთან შესაძლებლობა მისცა მათ გარკვეულიყვნენ დასავლეთის ბაზრის მოთხოვნებში, გასცნობოდნენ სხვადასხვა დაინტერესებულ პირს. საქმიანი ურთიერთობა მომავალში უფრო განვითარდება. მაგალითად, წელს გაზაფხულზე თბილისში ჩამოვლენ დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენლები, სპეციალისტები. ისინი მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო სემინარში: „გარდამავალი პერიოდის სტრატეგია“ შეხვდებიან საქართველოს საქმიანი წრეების წარმომადგენლებს.

ძალზე საქმიანი, შედეგიანი და პერსპექტივიანი აღმოჩნდა საფრანგეთის ბიზნესმენთა სხვა პირების ჩამოსვლა ჩვენს რესპუბლიკაში, რომლებიც დაინტერესდნენ საქართველოთი, მისი ორიგინალობით, ურთიერთობით, აღუთქვეს დახმარება მრავალ სფეროსა და დარგში.

გასული წლის ბოლოს რესპუბლიკის დედაქალაქის ხელმძღვანელობასთან ედუარდ შევარდნაძის ტრადიციულ შეხვედრაზე, ძალზე აქტუალურად დაისვა უცხოეთის კაპიტალის მოზიდვის, წარმოებაში მისი მონაწილეობის სტიმულირების პრობლემა. აღინიშნა, რომ ვერ მოვიზიდეთ კაპიტალი რუსეთიდან. უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო ჰუმანური დახმარება საქმეს ვერ უშველის, კრიზისიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ დიდი კაპიტალის დაბანდებით. და აი, უკვე არის ფაქტები, როცა ქართველ ბიზნესმენებს კაპიტალის შენატანებით სოლიდური წვლილი შეაქვთ საქართველოს ეკონომიკურ დაწინაურებაში.

ქართული ბიზნესის განვითარებაში, მისი არსის გარკვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზღვარგარეთის გამოცდილების შესწავლას, ამაში ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ამიტომ არაფერი არ უნდა დავიშუროთ ამისათვის. ურთიერთობა დღეს ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი თვისებაა ბიზნესში და ჩვენც საზღვარგარეთელ კოლეგებთან უნდა გვქონდეს მჭიდრო კავშირები, საქმიანი კონტაქტები, არაფერს კარგსა და მისაბაძს არ უნდა ვტოვებდეთ უყურადღებოდ, უნდა ვხედავდეთ ჩვენს კუთვნილებად. აი, ეს არის სწორედ გზა გამდიდრებისა.

მკითხველის თხოვნით

სიტყვა-მკურნალი

უაღრესად მადლობლები ვართ ფსიქოთერაპევტ გივი მაზმიშვილისა, რომელმაც საქველმოქმედო სეანსები ჩაატარა ჰადრაკის სასახლეში 1992 წლის 1 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით. მან დაგვიბრუნა ჯანმრთელობა, მოგვანიჭა სიმშვიდე და სიცოცხლის ხალისი. ამავე დროს გთხოვთ, აგვიხსნათ, რაში მდგომარეობს მისი ფენომენი და საერთოდ, განგვიმარტოთ ფსიქოთერაპიის არსი.

მადლიერი პაციენტების სახელით
ნინო მახარაძე.

წერილს ხელს აწერს 858 ადამიანი.

ქვემოთ გთავაზობთ ნევროპათოლოგ მამუკა მაკარიძის წერილს.

დღეისათვის ჩვენს არც თუ ისე დალაგებულ სამყაროში, სადაც დაგროვილია იმდენი ბოროტება, იმდენი დამანგრეველი ძალა, რომ კაცობრიობას, მის ცივილიზაციას განადგურება ემუქრება, სამყაროში, სადაც მეცნიერების ტექნიკურმა დარგებმა არნახულ პროგრესს მიაღწია, როდესაც შეგვიძლია ხომალდები დავსვათ პლანეტებზე, გავხლიჩოთ ატომები, გავმართოთ დიალოგი დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში, ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ჩავწვდით ტვინის ინტიმურ ფიზიოლოგიურ მექანიზმებს, არ ვიცით ჩვენი საქციელის, სიკეთისა თუ ბოროტების, სიძულვილისა თუ სიყვარულის მექანიზმები. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ძალიან მიაგავს დინოზავრის მდგომარეობას, რომლის ტვინი სხეულთან შედარებით პატარა იყო, და რომლის გადაშენების მიზეზი კლიმატურ კატაკლიზმებთან ერთად სწორედ ეს შეუსაბამობა გახლდათ. იგივე მოგველის ჩვენც, თუ არ აღმოვფხვრით ასეთ სხვაობას ბიოლოგიურსა და ტექნიკურს შორის, თუ არ გავიაზრებთ, რომ ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების, პიროვნების, მისი სულის შეცნობის, შესწავლის პრობლემები არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სოციალური, პოლიტიკური, თუ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა. მხედველობაში მაქვს თეორიული თუ პრაქტიკული მედიცინის იმ დარგების მდგომარეობა, რომელნიც ზემოხსენებულ პრობლემებს ეხება და გაცილებით მეტ სახელმწიფოებრივ ყურადღებას მოითხოვს, ვიდრე აქამდე ეგონათ. ერთ-ერთი ასეთი დარგი სამედიცინო ფსიქოლოგიაა, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს — ფსიქოთერაპიას, პიროვნების ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციაში, ასევე თითოეული ჩვენთაგანის შეგნების, სულიერების ამაღლების, პიროვნების აღზრდის, მორალის საკითხებში უდიდესი როლი ენიჭება. ფსიქოლოგია და ფსიქოთერაპია მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ნევროლოგიასთან, ნეიროფიზიოლოგიასთან, სოციოლოგიასთან, პედაგოგიკასთან და ასე შემდეგ.

არაერთხელ მითქვამს და მინდა ისევ გავიმეორო: **ფსიქოთერაპია სამედიცინო დისციპლინაა და მას საერთო არაფერი აქვს ჯადოქრობასთან, მისტიკასთან, რაღაც ზებუნებრივ ძალებთან.**

ფსიქოთერაპია ავადმყოფზე, ან ავადმყოფთა ჯგუფზე სამკურნალო ზემოქმედებაა ძირითადად სიტყვის საშუალებით. მისი არსი ჩვენს ორგანიზმში არსებული იმუნობიოლოგიური ძალების გააქტიურებაში, მის მობილიზაციაში მდგომარეობს. ეს ძალები, უმეტეს შემთხვევაში, მშვენივრად ასრულებს ორგანიზმის დაცვით ფუნქციებს, და თუ ხელს არ შევუშლით, შეუძლია ბევრი მდგომარეობისა, თუ დაავადების დაძლევა. რა დასამალია და რიგ შემთხვევებში ჩვენ ამ ფუნქციებში გაუმართლებლად უხეშად ვერევით. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ფსიქოთერაპია, რაღაც პანაცეაა, მასაც აქვს თავისი ჩვენებები. სამედიცინო კონტროლს დაუქვემდებარებელი, მედიცინას მოწყვეტილი ფსიქოთერაპია ბალაგანი, საცირკო წარმოდგენა ხდება. ამიტომაც აუცილებელი პირობაა ავადმყოფთა სკრუპულოზური შერჩევა-შემოწმება, მედიკოსთა მიერ სეანსების წარმართვა, ან მეთვალყურეობა.

ფსიქოთერაპიის მრავალი ფორმაა ცნობილი. ყველა მათგანს, ინდივიდუალური იქნება, თუ ჯგუფური (ფსიქოანალიზი, სუგესტია, ჰიპნოზი, აუტოტრენინგი, მედიტაცია, რელაქსაციები და სხვა) არსებობის სრული უფლება აქვს. რასაკვირველია, სხვადასხვა მდგომარეობის დროს ფსიქოთერაპიის სხვადასხვა ფორმას ენიჭება უპირატესობა.

აღსანიშნავია, რომ მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა ფსიქოთერაპიის სხვადასხვა მეთოდის გაერთიანების ტენდენცია, ტრანსმოდალური, ინტეგრაციული სისტემების ჩამოყალიბებითა და მრავალათასიანი ჯგუფური სეანსებით გატაცება. კარგა ხნის მანძილზე ჩვენთან იმართებოდა ბატონი გივი მაზმიშვილის ჯგუფური ფსიქოთერაპიული სეანსები. შემდგომ, გარკვეული მიზეზების გამო, ეს შეუძლებელი გახდა. ამჟამად განახლდა და სეანსები დიდი წარმატებით გრძელდება ჰადრაკის სასახლეში. ფსიქოთერაპიის ამ სახეობის ავკარგიანობაზე თვით მისი შედეგებიც მეტყველებს. ამაში თვალნათლივ დარწმუნდებით, თუ იხილავთ და მოისმენთ სეანსებზე დამსწრეთა აღფრთოვანებულ სახეებს, ასეულობით მადლობის წერილს და ფსიქოლოგის მიმართ გამოთქმულ ათასნაირ დითირამბებს.

ცნობილია, რომ ფსიქოთერაპიული მკურნალობის მეთოდი ორგვარია — რაციონალური ანუ ახსნა-განმარტებითი და სუგესტიური ანუ შთაგონებითი მეთოდი. ზემოქმედების ორივე ეს ფორმა კარგად ერწყმის ერთმანეთს ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში. ჯგუფური ფსიქოთერაპია, რომელიც ეფუძნება საზოგადოდ მიღებულ მკურნალობის დინამიურ, ქცევით, ჰუმანისტურ, აღმზრდელობით, კოგნიტიურ ანუ შემეცნებით ხერხებს, მშვენივრად ესადაგება ჩვენი განვითარების დონეს, ტრადიციებს, ეთნოფსიქოლოგიას.

დღევანდელ პირობებში სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ავადმყოფთა დიდი რაოდენობით ჩაბმა მკურნალობაში. სპეციალისტები კი ამ დროს კამათობენ ფსიქოთერაპიის ზოგიერთი ფორმის მიზანშეწონილობაზე. ლაპარაკია პირველ რიგში ჯგუფურ კოლექტიურ ფორმებზე, რომელსაც ხანდახან „ჯოგურად“ მოიხსენიებენ. ზოგიერთი ისე შორსაც მიდის, რომ აცხადებს თითქოს ფსიქოთერაპიის გამო გვიანდებოდეს დაავადების მკურნალობა?!... „უვიცობას მართლაც, რომ არ აქვს საზღვარი“. ფსიქოთერაპია სრულიად არ გამორიცხავს წამლისმიერ მკურნალობას და ხშირ შემთხვევაში შესანიშნავად ერწყმის მას. მკურნალობაში ნებისმიერი კორექცია კი მხოლოდ და მხოლოდ ექიმის პრეროგატივად რჩება.

ჩვენი უბედურება ხშირად ჩვენს არაპროფესიონალიზმში, დილეტანტიზმში და უკიდურესობებში უნდა ვეძებოთ: ერთი მეთოდის გაფეტიშება მეორის უარყოფით, თეთრზე შავის თქმა, შემდგომ კი ყველაფრის დიამეტრალურად შეცვლა. იგივეა მედიცინაშიც: ამის დასტურია ფსიქოთერაპიის, თუ პირიქით წამლისმიერი მკურნალობის უარყოფა, „ქიმიური“ წამლებისადმი უსაფუძვლო შიში, რომ აღარაფერი ვთქვათ ათასი ჯურის ცრუმეცნიერებით გატაცებაზე, ზოგჯერ ხალხური მედიცინის აბრა რომ აქვთ მიწებებული. ალბათ არაფერი გვეშველება, სანამ არ დავიოკებთ უპირო ქედმაღლობას, თუ უსაფუძვლო ამბიციებს, სანამ მერკანტილურ საკითხებს მეორე პლანზე არ გადავიტანთ და ჩვენი ათვლის წერტილად არ ავიღებთ ადამიანს, ჩვეულებრივ მოკვდავს, სანამ არ შევძლებთ გამოვიყენოთ თუნდაც ის, რაც კაცობრიობამ დღემდე მოგვიტანა. ფსიქოთერაპიის გამოყენების მაგალითები ხომ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში უკვე ათასწლეულებს ითვლის.

სიტყვით მკურნალობას, ადამიანზე სიტყვით ზემოქმედებას განუსაზღვრელი ძალა აქვს. ეს უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა პრესამ, რადიომ, თუ ტელევიზიამ. სრულიად საპირისპირო ეფექტი აქვს არასწორად ნათქვამ სიტყვას, ან იმ პიროვნებისაგან სენტენციების მოსმენას, რომლისაც არ გჯერა.

თავისუფალი ბაზრის სამსჯავროზე

ჩემი ვასალის ვასალი,

ანუ ვინ და როგორ უნდა გადაწყვიტოს გაჭიანურებული დავა?

თბილისის კომუნალური, ეგრეთ წოდებული საიჯარო სასტუმროები დამოუკიდებლობას მოითხოვენ. ვისგან? თავიდანვე დაინტერესდება ჩვენი ცნობისმოყვარე მკითხველი. — თბილისის კომუნალური ან საიჯარო (სულ ერთია) სასტუმროების სამმართველოსაგან, — გიპასუხებთ წინასწარ. საქმე ისე გართულდა, რომ სასტუმრო „აფხაზეთის“ წინ, დამოუკიდებლობის მოთხოვნით, ერთხელ მიტინგიც კი გაიმართა. დიდხანს იხარშა ეს პრობლემა ჩემში, საწერად მომართული კალამიც ბევრჯერ გადავდე, „მართლაც, რა რედაქციის გადასაწყვეტია სამმართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი“, ან იმ „ხედოვლათებს უსამართლოდ შეიძლება, მართლაც, ამოხდეთ სული“, ათასჯერ ამიწეწა გონება სამმართველოს უფროსის მოადგილის ნოდარ დეკანოსიძის ამ სიტყვებმა. ბოლოს დაყოლას მაინც აყოლა ვამჯობინე და „მოსალოდნელი სიახლისათვის“ თავიდან აცილების მიზნით „კოლონიებსა“ და „მეტროპოლიაში“ ვიმოგზაურე. ახლა ამ მოგზაურობის შესახებ მოგითხრობთ.

„მეტროპოლია“ დედაქალაქის ცენტრში, სასტუმრო „საქართველოს“ ტერიტორიაზეა განლაგებული. ადრე 2-3 ოთახი ეჭირათ თურმე, მაგრამ ცოტათი მოძლიერებულან და გაფართოებულან.

„კოლონიები“ — „კოლხეთი“, „აფხაზეთი“, „სამგორი“ (ძველი „კოლმეურნე“), „ევროპა“, პატარა მეტეხი“ და ნაწილობრივ „საქართველო“, ამ გაფართოებასაც ცოდვაში უთვლიან.

ვის არ ემახსოვრება შუა საუკუნეების ცნობილი ფორმულა —„ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალია“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველაზე დიდი ფეოდალი თბილისის მერიაა თურმე — სასტუმროების სამმართველოც და თავად სასტუმროებიც მას ეკუთვნის.

„მერიამ სასტუმროები იჯარით გადმოგვცა“, — ამბობს სამმართველოს უფროსი ანრი მაჭარაშვილი.

ამ ფაქტს „აფხაზეთის“ დირექტორი ნოდარ კობიძეც ადასტურებს, მაგრამ ამავე დროს დასძენს: „მართალია, იჯარაზე გადასვლის პირველი ინიციატორი სამმართველო იყო, მაგრამ მერე რაღაც სადავო საკითხები წამოიჭრა და გაჩერდნენ. მაშინ ინიციატივა ჩვენ ავიღეთ ხელში, მოვიწვიეთ სამმართველოსა და კადრების განყოფილების უფროსები, ჩავატარეთ კოლექტივის საერთო კრება და გადავწყვიტეთ: სასტუმრო გადადის იჯარაზე შემდგომში გამოსყიდვის უფლებით. „წავალთ სამმართველოში და განვიხილავთ“. გვითხრეს. წავიდნენ. „ახლა ჩვენ გადავდივართ იჯარაზე და თქვენ ჩვენი ქვემოიჯარე — იქნებით“, დაადგინეს საბოლოოდ. რა გვექნა? სულ არარაობას, ეს ვარჩიეთ. შეთანხმებას უკვე 1 აგვისტოს გაუდის ვადა...“

„ჯერ ერთი, ჩვენ საქმის კურსში არ ვიყავით, უჩვენოდ გადაწყდა ყველაფერი. მეორეც, რა იჯარაა ეს?“ — აცხადებს სასტუმრო „კოლხეთის“ კურატორი ჯემალ ცერცვაძე. ის ამავდროულად სამმართველოს უფროსის მოადგილეც არის.„ავი ენები“ ამბობენ, რომ ყველაზე მეტს, ცერცვაძე ხმაურობდა და აჩუმების მიზნით დააწინაურესო. ეს შეიძლება მართალიცაა, რადგან, როგორც ნოდარ დეკანოსიძემ მითხრა, ცერცვაძეს „კოლხეთის“ ყიდვა უნდოდა...

ამრიგად, წრედი შეიკრა: სამმართველო — მერიის მოიჯარეა, სასტუმროები კი — სამმართველოსი... აქ თითქოს უნდა დაესვა წერტილი და მიელოცა მათთვის ასეთი თანაცხოვრება, ის წყეული დამოუკიდებლობის სენი რომ არ შეპარვოდა მათ ერთ დროს მთლიან და განუყოფელ ორგანიზმს.

დამოუკიდებლობის მოთხოვნას, ბუნებრივია, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის შექმნაც სჭირდება. „მინდა და მორჩა“, ეგრე ხომ არ არის, მართლა?

ასეთი საფუძვლის შესაქმნელად კი „კოლხეთისა“ და „აფხაზეთის“ კოლექტივებს გაეროს ექსპერტების მოწვევა არ დასჭირდებათ. ყველა მუშაკმა, დირექტორებით დაწყებული და დამლაგებლებით დამთავრებული, ზეპირად იცის უწყვეტი დავის მოტივები. თუმცა, ჯერჯერობით, სამმართველოებიც მყარად დგანან.

სასტუმრო „კოლხეთის“ მხრივ ბრალმდებლები არიან: ჯემალ ცერცვაძე, უფროსი ადმინისტრატორი გარი მაჭავარიანი. ადმინისტრატორები გივი ბარნაბიშვილი, მერაბ ბართაია და ლევან მიქაბერიძე, საწყობის გამგე ვაჟა ხიტირი, ინჟინერი, დამლაგებლები და სხვანი.

„აფხაზეთის“ მხრივ: ნოდარ კობიძე, სართულის უფროსები ნანული ბასიაშვილი და ქეთინო ბობოხიძე, ადმინისტრატორი გიორგი ჩარკვიანი, უფროსი მოლარე ზეინაბ წიკლაური, სამრეცხაოს უფროსი დათო ხარჩილავა, ინჟინერი, დამლაგებლები და სხვანი.

მოპასუხეები (ნაწილობრივ, ბრალმდებლები): ანრი მაჭარაშვილი, ნოდარ დეკანოსიძე და სხვანი.

სასტუმროები: — არ გვაქვს საკუთარი ანგარიში, შტამპი, ბეჭედი. იმის უფლებაც არა გვაქვს, ტელევიზორი სართულიდან სართულზე გადავიტანოთ, პირველი მოხმარების საგნები შევიძინოთ. ნათურა რომ ნათურაა, იმასაც ვერ გამოიტან ცენტრალური საწყობიდან სამმართველოს უფროსის რეზოლუციის გარეშე. მერე დანიშვნა? — მხოლოდ დამლაგებლის დანიშვნის უფლება გვაქვს. მათ ხელშია სასტუმროების შენობებში განლაგებულ საყოფაცხოვრებო თუ კვების ობიექტებთან ხელშეკრულების დადება. მოგებაც მათია და მაღალი ხელფასებიც.. ჩვენთან ამცირებენ შტატებს, თავისთან კი? სასტუმროების ტერიტორიის ფარგლებში ხსნიან ღვინის წერტებს, „კაზინოს“ („აფხაზეთი“), ფასიან გარაჟებს. „აფხაზეთთან“ არსებულ სამრეცხაოსაც ისინი პატრონობენ...

სამმართველო: ვინ არის ის, ვისაც არასწორად მიაჩნია ეს „ამბავი“? ჩვენა ვართ იურიდიული პირი, ამიტომ ბუღალტერიაც ჩვენთანაა, მომარაგებაც და ხელფასებიც... ეს სამართლებრივია, როგორც იურიდიულად, ისე ეკონომიკურად და დაქცევის პირზეა ყველა სასტუმრო, რომელიც სამმართველოში არ შემოდის. ჩვენთან 14 კაცია ადმინისტრაციულ აპარატში, იქ — 147... ექვს უხეიროს, ერთი ჭკვიანი მომმარაგებელი ვამჯობინეთ. როგორ გაგვეზარდა ხელფასები?— ხალხი გაგვეყარა? ბიუჯეტი გვინახავს. დამოუკიდებლობის შემთხვევაში ყველა სასტუმრო დანინდება. ისინი არც ქალაქის ინტერესებს მოემსახურებიან.

სასტუმროები: 2-3 წელიწადში ავყვავდებით, პირველი კლასის სასტუმროებად ვიქცევით. უმაგათოდ რემონტიც ვერ გაგვიკეთებია. მართლა დაგვექცევა მალე შენობები თავზე. ლტოლვილების აქ ყოფნა ჩვენს გასვლას არ უშლის ხელს. მათთვის განკუთვნილი თანხები პირდაპირ სასტუმროების ანგარიშზე ჩაირიცხება, შენობების კეთილმოწყობასა და მომსახურების გაუმჯობესებას მოხმარდება. ახლა არავინ ვიცით, რაზე იხარჯება ფული. მაჭარაშვილის დიდი ხათრი გვაქვს, მაგრამ მაინც გავალთ.

სამმართველო: ვერსადაც ვერ გახვალთ. ეს მერიის საქმეა, წილი ჩვენც გვეკუთვნის..

სასტუმროები: გავალთ! თქვენ სულაც არ გკითხავთ, ჩვენი რაიონების საკრებულოებს მივმართავთ. სააქციო საზოგადოებებად ჩამოვყალიბდებით.

მართლაც, ვინ უნდა განსაჯოს ეს დავა? — მერიამ, შესაბამისი რაიონების საკრებულოებმა, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ თუ სულაც თავისუფალმა საბაზრო ეკონომიკამ?

იქნებ, სანამ ამ სასტუმროებში ლტოლვილები ცხოვრობენ, რაღაც კომპრომისული ვარიანტი შევარჩიოთ ან, ევროპისა და ამერიკის გამოცდილებას მივმართოთ და შევქმნათ დირექტორთა საბჭო, რომელიც პირდაპირ მერიას დაექვემდებარება?

მძიმეა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზა, უფრო მძიმე კი, ეტყობა, შემარიგებელი გზის არჩევა არის.

ზაურ მაკარაძე.

უახლოეს დღეებში ყაზახეთი

მოგვაწვდის 100 ათას ტონა მარცვალს

სატელეფონო საუბარი ედუარდ შევარდნაძესთან

1 ივნისს, საღამოს, შედგა სატელეფონო საუბარი პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაურ ედუარდ შევარდნაძესთან. ბატონმა ედუარდმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა ყაზახეთში მისი სამუშაო ვიზიტის გამო. აღნიშნა, რომ ვიზიტი სრული ურთიერთგაგების, მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობს. დღეს ხელი მოვაწერეთ 28 დოკუმენტს, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — მათ შორის ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის პრინციპების შესახებ. ხელმოწერილია აგრეთვე შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტსა და ყაზახეთის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს შორის თანამშრომლობის თაობაზე, და მთელი რიგი დოკუმენტები სავაჭრო-ეკონომიკური, სპორტის, კულტურის, საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის, საბაჟო, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და სხვა სფეროებში.

უახლოეს 2-3 კვირაში ორივე ქვეყანაში გაიცვლება საელჩოები და ელჩები.

მიღწეულია შეთანხმება, რომ უახლოეს დღეებში ყაზახეთი მოგვაწვდის 100 ათას ტონა მარცვალს, ხოლო, თუ მოსავალი კარგი იქნება, დამატებით მივიღებთ კიდევ ნახევარ მილიონამდე ტონას. სანაცვლოდ საქართველო ყაზახეთს მიაწვდის ღვინისა და კონიაკის ნაწარმს, ელმავლებს, მანგანუმს და სხვა. გამოითქვა საგანგებო დაინტერესება საჰაერო კავშირების დამყარების თაობაზე.

ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა მხარი დაუჭირა ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნის საკითხს, რომელზეც ადრე თავს იკავებდა. ეს მომგებიანი იქნება ყაზახეთისათვის. უახლოეს ორ-სამ წელიწადში მას საშუალება მიეცემა ამ გზით 40 მილიონ ტონამდე ნავთობპროდუქტი მიაწოდოს დაინტერესებულ ქვეყნებს. ეს საქართველოსთვისაც შემოსავლის უდიდესი წყარო იქნება და მას პრაქტიკულად, გადაუწყვეტს კიდეც ენერგომატარებლების პრობლემას. მაგრამ ამის ერთადერთი და უმთავრესი პირობაა სიმშვიდე და სტაბილურობა ჩვენს რეგიონში.

ყაზახეთის რესპუბლიკასთან ურთიერთობები და თანამშრომლობა პრაქტიკულად იწყება, აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ საუბრის დასასრულს, შთაბეჭდილება ისეთია, რომ ყაზახეთი გიგანტური შესაძლებლობების ქვეყანაა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური

საქართველო-ჩინეთი

დიდი გზის დასაწყისი

(დასასრული)

ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიამ უმაღლეს თანამდებობრივ პოსტზე — ჩინეთის თავმჯდომარედ აირჩია კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, 66 წლის ძიან ძემინი. მას პარტიულ და სამეურნეო სტრუქტურებში მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს. გენერალური მდივანი იგი 1989 წელს გახდა (თავის დროზე დააწინაურეს „ეკონომიკური გარდაქმნების მამის“ —88 წლის დენ სიაოპინის ინიციატივით). სხვათა შორის, 1955-1956 წლებში მან სტაჟირება მოსკოვის ავტოქარხანაში გაიარა, იცის რუსული.

მისი მოადგილეა 76 წლის რუნ იჟენი, პირველად კომუნისტური ჩინეთის ისტორიაში კაცი, რომელიც არასოდეს ყოფილა ჩინეთის კომპარტიის წევრი, ე. წ. „წითელი კაპიტალისტი“ (თურმე იგი 1949 წლამდე შანხაიში საწარმოების მფლობელი ყოფილა).

ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეა 68 წლის ციაო ში, იურისტი.

ქვეყნის პრემიერად კვლავ დარჩა 66 წლის ლი პენი. ისიც საბაზრო რეფორმების მომხრეა და თავის დროზე დენ სიაოპინის ინიციატივით დააწინაურეს. ლი პენს მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტი აქვს დამთავრებული.

ჩინელი ხელმძღვანელები თვლიან, რომ დასახული რეფორმების წარმატებით გატარების საწინდარია მტკიცე პარტიული და სამეურნეო მართვის აპარატის შენარჩუნება, და როცა ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობაა, მოსახლეობა კი კმაყოფილია ეკონომიკური წინსვლით და მატერიალური პირობების გაუმჯობესებით, ნაკლები ასპარეზი რჩება რადიკალური პოლიტიკური დაპირისპირებებისათვის. ქვეყნიდან თავის დროზე წასული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებს ეს ნათლად მიანიშნებს, რომ თუ სამშობლოში დაბრუნდებიან, მათ მიმართ არავითარი რეპრესიები არ მოეწყობა.

და ბოლოს, დავუბრუნდეთ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების პერსპექტივებს. ამ ურთიერთობათა წინამძღვრები უაღრესად იმედისმომცემია. თავად განსაჯეთ: ჩვენი ქვეყნის დელეგაციის ოფიციალური სამდღიანი ვიზიტი (2-4 ივნისს), რომელიც დღეს იწყება, ჩინეთის მხარის ინიციატივით ეწყობა. ჩინეთის თავმჯდომარემ ძიან ძემინმა პირადად მიიწვია ჩვენი ქვეყნის მეთაური, პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე. ჩინეთის განსაკუთრებულმა და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ვან ფენსიანმა განაცხადა, რომ ჩინეთში ედუარდ შევარდნაძეს მიიღებენ როგორც უპირველესად საპატიო და სასურველ სტუმარს.

მრავლისმეტყველია, რომ ჩინეთმა ერთ-ერთმა პირველმა დააფუძნა თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა (სრული მოცულობით) ჩვენს ქვეყანაში, არსებობს წინასწარი შეთანხმება თბილისში სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის გახსნის შესახებ.

ნიშანდობლივია, რომ უკვე 27 მაისს პეკინს გაემგზავრა ვიზიტის მოსამზადებელი წინასწარი ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება. ჯგუფში შედიან სახელმწიფოს მეთაურის აპარატისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, ექსპერტები. ჯგუფმა ხელმოსაწერად მოსამზადებლად და წინასწარ შესათანხმებლად ჩინეთში წაიღო 25 სხვადასხვა დოკუმენტი, მათ შორის ჩინეთ-საქართველოს ერთობლივი კომუნიკე, ორი ქვეყნის მთავრობათა შეთანხმების პროექტები სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის, ინვესტიციების განხორციელებისა და დაცვის ხელშეწყობის, საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობის, ტრანსპორტის, კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის, ტურიზმის და სხვა სფეროებში თანამშრომლობის შესახებ. უკვე მივიღეთ ინფორმაცია, რომ წინასწარი ჯგუფი მათ კარგად მიიღეს და მიმდინარეობს ჩინელ კოლეგებთან ერთად ინტენსიური მუშაობა. პეკინი კი ემზადება მაღალი სტუმრის ღირსეულად მიღებისათვის.

თემურ ჯაფიაშვილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მხარს უჭერენ ინტეგრაციული პროცესების განგრძობას

პორტუგალიის პრეზიდენტმა მარიო სოარეშმა მხარი დაუჭირა ევროპის გაერთიანების ფარგლებში ინტეგრაციული პროცესების განგრძობას, ამასთანავე, აღნიშნა ევროპის მშენებლობის ტემპის შეცვლის შესაძლებლობა. „ბევრი რამ დამოკიდებულია საგარეო ფაქტორებზე, — თქვა მან. — თუ ევროპის დიდ ქვეყნებში წარმოიშვა სერიოზული პოლიტიკური და ინსტიტუციური პრობლემები, უთუოდ გართულდება საქმე, გაძნელდება ევოლუციური პროცესები“.

ხელი მოაწერეს შეთანხმებებს

სომხეთის პრემიერ-მინისტრის ლონდონში ვიზიტის დროს, დიდმა ბრიტანეთმა და სომხეთმა ხუთშაბათს ხელი მოაწერეს ოთხ შეთანხმებას, მათ შორის შეთანხმებებს — ინვესტიციების დაცვისა და კულტურული გაცვლის, დიპლომატების თავისუფალი გადაადგილებისა და ორი ქვეყნის საგარეოპოლიტიკური უწყებების თანამშრომლობის განვითარების შესახებ.

სომხეთის მთავრობის მეთაური გრანტ ბაგრატიანი შეხვდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს დუგლას ჰერდს, რომლის დროს, განიხილეს მთიანი ყარაბაღის პრობლემა. ინგლისის საგარეო უწყების მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლონდონი მხარს უჭერს კონფლიქტის მოწესრიგების ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთისა და თურქეთის ინიციატივას. **აგრეთვე, მიაჩნია, რომ ამ რეგიონში მტკიცე მშვიდობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთიან ყარაბაღს ექნება ავტონომიის სტატუსი, მაგრამ დარჩება აზერბაიჯანის შემადგენლობაში.**

ანალოგიური აზრი დუგლას ჰერდმა გამოთქვა ერთი დღით ადრე, თავის შეხვედრაზე აზერბაიჯანის პრემიერთან პანახ ჰუსეინოვთან, რომელიც აგრეთვე ვიზიტად ჩავიდა დიდ ბრიტანეთში, როიტერის სააგენტოს ცნობით, შესაძლო შეხვედრა ბრიტანეთის დედაქალაქში სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობათა მეთაურებს შორის არ გამართულა.

ქორწინების წინ

31 მაისიდან, ტოკიოში 30000-მდე პოლიციელი მზადყოფნაშია მოყვანილი, 9 ივნისს მემკვიდრე პრინცის ნარუჰიტოსა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ქალიშვილის მასაკო ოვადის ქორწინების წინ. გაძლიერებულია იმპერატორის სასახლის, „აკასაკის“ სასახლისა და იმპერატორის ოჯახთან დაკავშირებული სხვა შენობების დაცვა, ხოლო დედაქალაქის ცენტრალურ რაიონებში პოლიციელები უფრო ხშირად აჩერებენ და ამოწმებენ ავტომობილებს, სპეციალურ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საით მიდის ქართული სპორტი?

თუ მშვიდობა იქნება

სპორტის დეპარტამენტი, სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, სპორტის კომიტეტი... რესპუბლიკურმა სპორტულმა უწყებამ ბოლო სამი წლის მანძილზე სამჯერ გამოიცვალა სახელი, მაგრამ ხელმძღვანელი არ გამოუცვლია — კახი ასათიანი კვლავ თავის პოსტზეა და, როგორც ამბობენ, საქმეს ურიგოდ არ უძღვება, თუმცა, სხვა თანამდებობის პირთა მსგავსად, არც მას აკლია კრიტიკოსთა ყურადღება. აზრის გამოთქმის უფლებას, ცხადია, ვერავის წაართმევ, კომიტეტის მუშაობაში ხარვეზები უთუოდ შეინიშნება, მაგრამ კეთილმოსურნე და ობიექტური ადამიანი სხვა რამესაც დაინახავს: სწორედ ამ ბოლო წლების მანძილზე, აშკარად არახელსაყრელი „ამინდის" მიუხედავად, ქართულ სპორტში არაერთი სიახლე დაინერგა, მნიშვნელოვანი და თამამი ნაბიჯები გადაიდგა, რამაც, საბოლოო ჯამში, სასურველ შედეგებამდე უნდა მიგვიყვანოს.

მაინც საით მიდის ქართული სპორტი? რა გაკეთდა და რისი გაკეთებაა ნავარაუდევი? როგორ მიმდინარეობს საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში ჩვენი ფედერაციების ინტეგრაციის პროცესი? ამ და სხვა საკითხებზე საუბრობენ საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **კახი ასათიანი** და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი**.

— ბატონო კახი, ქართული სპორტის სათავეში თქვენს მოსვლას დაემთხვა ახალი ორიენტირების არჩევის, სპორტის მართვაში რადიკალურ სტრუქტურულ ცვლილებათა პერიოდი...

— ეს იყო დროის მიერ მოტანილი აუცილებლობა და არა ვინმეს ინიციატივა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ათწლეულების განმავლობაში, მოგეხსენებათ, ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა მოქმედებდა. ერთ მშვენიერ დღეს, მადლობა ღმერთს, კავშირი დაიშალა, შეიქმნა სიტუაცია, როცა ძველი მექანიზმი მწყობრიდან გამოვიდა, სანაცვლოდ კი თითქმის არაფერი გაგვაჩნდა. ქართულ სპორტში იმ დროიდან, შეიძლება ითქვას, ახალი ერა დაიწყო, მართალია, უაღრესად მძიმე და რთული, მაგრამ მაინც იმედიანი. ერთის მხრივ, ჩვენ აღმოვჩნდით სრულ სპორტულ იზოლაციაში, იმავდროულად გამოიკვეთა საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში დამოუკიდებლად ჩართვის პერსპექტივა. ახალმა სიტუაციამ, ბუნებრივია, საქმისადმი ახლებური მიდგომა მოითხოვა, არადა, სამისოდ, სურვილთან ერთად, აუცილებელია შესაბამისი პირობები და გამოცდილება. სამწუხაროდ, ერთიც გვაკლდა და მეორეც. ეგრეთ წოდებული გარდამავალი პერიოდი დღემდე მძაფრი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ფონზე მიმდინარეობს, როცა, გასაგებ მიზეზთა გამო, სპორტი თითქმის არავის ახსოვს.

— საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კიდევ კარგა ხანი გაივლის, ვიდრე საქართველოში ვითარება არსებითად შეიცვლება და სპორტი თავის კუთვნილ ადგილს დაიბრუნებს. ამის მიუხედავად, სპორტული ცხოვრება ავად თუ კარგად, გრძელდება — იმართება ეროვნული ჩემპიონატები, ჩვენს სპორტსმენებს სულ უფრო ხშირად ვხედავთ საერთაშორისო ტურნირებში. ...მაინც რა მიგაჩნიათ უმთავრეს პრობლემად, რომლის გადაჭრაც დახანებას ვერ ითმენს.

— დღეს, შეიძლება, უხერხულიც არის სპორტის პრობლემებზე მსჯელობა, მაგრამ, ალბათ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სწორედ სპორტი და ფიზიკური კულტურაა ახალგაზრდობის წრთობის, ერის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების შეუცვლელი საშუალება. ამიტომაც, თავს უფლებას მივცემ და ზოგიერთ მომენტზე შევჩერდები. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დრო უქმად არ დაგვიკარგავს, სპორტული მოძრაობის რეორგანიზაციის ერთი, მნიშვნელოვანი ეტაპი უკვე გავიარეთ. უფრო ქმედითი და მოქნილი გახდა თვით კომიტეტის აპარატი, პრაქტიკულად დასრულდა სპორტული ფედერაციების ჩამოყალიბების და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების პროცესი; ხელთა გვაქვს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც ყველა ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს — მასობრივი ფიზკულტურით დაწყებული, სპორტული მარკეტინგით დამთავრებული. ამ პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელია საკანონმდებლო ბაზა, რომლის ქვაკუთხედად გვესახება კანონი ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ. სხვათა შორის, ამ კანონის პროექტზე ინტენსიურად ვმუშაობთ პარლამენტის შესაბამის კომისიასთან ერთად. თავის მხრივ, კანონი საფუძვლად უნდა დაედოს მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებს და დებულებებს, რომელთა ამოქმედება საბოლოოდ მოაწესრიგებს ჩვენს ურთიერთობას ფედერაციებთან, მწვრთნელებთან, სპორტსმენებთან, სპორტულ სკოლებთან და კლუბებთან, სპორტულ ბაზებთან, უწყებებთან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან... ცხადია, ყველა ჩვენი გეგმა და ჩანაფიქრი ხორცშეუსხმელი დარჩება, თუ ვერ მოხერხდა სათანადო ეკონომიკური, მატერიალურ-ფინანსური ბაზის შექმნა. სამწუხაროდ, ყველაზე მეტად სწორედ აქ გვიჭირს. უახლოეს წლებში სპორტის საჭიროებანი ძირითადად ისევ რესპუბლიკის ბიუჯეტმა უნდა დააკმაყოფილოს. სხვა გამოსავალი ჯერჯერობით არ ჩანს.

— მაგრამ სახელმწიფო ხაზინა თითქმის ცარიელია...

— გეთანხმებით, დღეს საქართველოში ეკონომიკური კრიზისია და ამ რეალობას ვერსად გაექცევი. მთავრობას უკიდურესად უჭირს, ათასი პრობლემა მოგვეძალა, თუმცა მიმაჩნია, რომ სპორტი მეტ ყურადღებას, მეტ კეთილგანწყობას იმსახურებს და ამის თაობაზე არაერთხელ ხმამაღლა მითქვამს. აქა-იქ მესმის: „რა მოხდა, სპორტი მოიცდის, რა დროს სპორტიაო". ვინც ასე ფიქრობს, შორს დგას ჭეშმარიტებისგან. სპორტი სწორედ ის დარგია, რომელიც ვერ მოიცდის, დღეს დაზოგილი მანეთი, ხვალ გაათმაგებულ ტვირთად დაგვაწვება, ამასობაში ხელიდან გამოგვეცლება ჩვენი მომავალი, დაიკარგება ტრადიცია... სხვათა შორის, ამის სიმპტომები უკვე შეინიშნება: რამდენმა ცნობილმა თუ იმედისმომცემმა სპორტსმენმა გული აიცრუა, რამდენს გაქცევაზე უჭირავს თვალი, რამდენი სპორტული სკოლა, სექცია, ჯგუფი, სპორტული ბაზა დაიხურა... სიტყვამ მოიტანა და სპორტული ბაზების შესანახად გამოსაძებნია მიზნობრივი სახსრები, ამას გარდა, აუცილებელია მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც განთავისუფლდნენ კომუნალური გადასახადებისაგან. მთავრობამ საბეგარო შეღავათები უნდა დაუწესოს აგრეთვე სპორტულ ფედერაციებთან თუ კლუბებთან არსებულ საწარმოებსა და ფირმებს. ასეთი გადაწყვეტილება, თუნდაც დროებითი, სასწრაფოდ მისაღებია. სპორტსმენს, რომელიც დღეში 7-8 საათს ვარჯიშობს და, ვთქვათ, ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, იმის გარანტიას ვერ ვაძლევთ, რომ შეჯიბრებაზე გავამგზავრებთ.

— სპორტის ცალკეულ სახეობებში წლის მანძილზე ათეულობით დიდი საერთაშორისო შეჯიბრება იმართება. მაინც რამდენი თანხაა საჭირო იმისათვის, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა ამ ტურნირებში იასპარეზონ?

— დაახლოებით მილიარდი მანეთი და მილიონამდე ამერიკული დოლარი. აქ უმთავრესად იგულისხმება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, რომლებშიც ჩვენს სპორტსმენთა მონაწილეობას, რომ იტყვიან, საარსებო მნიშვნელობა აქვს. სხვაგვარად სპორტის განვითარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სწორედ უსახსრობის გამო, ბევრ შეჯიბრებაზე უარს ვამბობთ, ზოგან კი სანახევროდ დაკომპლექტებულ გუნდს ვაგზავნით. განსაკუთრებით ვალუტა გვიჭირს. მთავრობას მერამდენე წელიწადია, ერთი დოლარიც არ მოუცია, არადა, მარტო საერთაშორისო ფედერაციებში გადასარიცხი ყოველწლიური საწევრო გადასახადი 30 ათას დოლარს აღწევს.

— ამბობენ, სპორტის ძრავა ბიზნესის საწვავზე მუშაობსო. სახელმწიფო ბიუჯეტი, აშკარად ჩანს, სპორტს ვერ გასწვდება და რაკი ასეა, სპორტისა და ბიზნესის პარტნიორობის იმედიღა რჩება...

— ბიზნესის „სპორტული ინტერესები" საყოველთაოდ ცნობილია. ვერ დამისახელებთ მეტნაკლებად აღიარებულ და თავმოყვარე ფირმას, სპორტთან ალიანსი რომ არ ჰქონდეს. დასავლეთის სპორტს, უმეტესწილად, კერძო სექტორი კვებავს, ჩვენთან კი ახლა იდგმება პირველი ნაბიჯები, თუმცა ამ საქმეს, ჩემი აზრით, ორი რამ აფერხებს: წელგამართული, მდიდარი ფირმების სიმცირე და იმის გაუთვალისწინებლობა, რომ ბიზნესისთვის სპორტზე უკეთესი რეკლამა არ არსებობს. თავის დროზე თადარიგი რომ არ დაგვეჭირა და კომერციული საქმიანობისთვის არ მიგვეხედა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ფეხს ვერ გავადგამდით. ჩვენს მიერ დაფუძნებულმა ავიაკომპანია „ტრანს ეარ გეორგიამ" გადაუდებელი ხარჯებისთვის 74 500 ამერიკული დოლარი გადმოგვცა. ეგ რომ არა, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, საერთაშორისო ტურნირებზე ვერ მივავლენდით ტანმოვარჯიშეებს, ხელბურთელებს, მორაგბეებს, მოჭადრაკეებს, ძალოსნებს, მოჭიდავეებს. მაგალითად, ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოისტთა გუნდის ათენში გამგზავრებას 7 900 დოლარი დასჭირდა, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა სტამბულში მივლინებას — 20000 დოლარი, 10 მილიონამდე მანეთი. და 2 500 დოლარი „წაგვაშველა" ფირმა „გავაზმა" (პრეზიდენტი — ჯემალ კეთილაძე), მილიონი მანეთი — „ბანი და კომპანიამ" (პრეზიდენტი — ბადრი ნინუა)... ცალკე პრობლემაა სპორტსმენთა კვება. ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი სპორტსმენზე დღეში საშუალოდ 150 მანეთს ითვალისწინებს. ჩვენ გამოვნახეთ საშუალება მაღალი კლასის სპორტსმენებისთვის კვების თანხა 400-800 მანეთამდე გაგვეზარდა, მაგრამ ინფლაციას ბოლო არ უჩანს და ცოტა ხანში შეიძლება ესეც არ იყოს საკმარისი.

— თქვენს მიერ ზემოთ ნახსენებ საბჭოთა პერიოდში სპორტისთვის აუცილებელი ინვენტარი და ფორმა რესპუბლიკაში ცენტრალიზებული წესით შემოდიოდა. ახლა როგორაა საქმე?

— ცუდად, ძალიან ცუდად. ჩვენი წარმოება რესპუბლიკის საჭიროებას მხოლოდ... 0,2%-ით აკმაყოფილებს, ასე რომ, საქმე, თუ შეიძლება ითქვას, ნულიდან უნდა დავიწყოთ. ეკონომიკური ქაოსისა და ნედლეულის ქრონიკული დეფიციტის პირობებში, ცხადია, ხელშესახები სასიკეთო ცვლილების იმედი არა გვაქვს, თუმცა სამისოდ საფუძველს ვამზადებთ. მთავრობას ვთხოვეთ გადმოგვცეს გამონთავისუფლებული მცირე სიმძლავრის რამდენიმე ფაბრიკა და ქარხანა, რათა შევქმნათ სპორტული ინვენტარისა და ფორმის საწარმოო ბაზა. ერთი ასეთი საწარმოს შექმნას ანაგის ქუჩაზე, სასტუმრო „სპორტის" ტერიტორიაზე ვაპირებთ, რომლის ერთ ნაწილს, როგორც მითხრეს, ჩვენი მეზობლები „დეპუტატრონენ" და გარაჟები ააშენეს. სასტუმროს შენობაც, რომელიღაც ასოციაციას „აულია". სასტუმროც და მიმდებარე ტერიტორიაც კომიტეტს ეკუთვნის და ჩვენი მიზნებისთვის უნდა გამოვიყენოთ.

— ბატონო კახი, კარგა ხანია საქართველოში, კერძოდ თბილისში, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრება არ გამართულა. როგორია უახლოესი პერსპექტივა?

— ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ რაკი უსაფრთხოების გარანტია არ არის, ჩვენი უცხოელი პარტნიორები თავაზიანი უარით გვისტუმრებენ. სამწუხაროდ, ყველაფერი პოლიტიკურ ვითარებაზეა დამოკიდებული. თუ მშვიდობა იქნება, საერთაშორისო ტურნირთა გამართვას წინ არაფერი დაუდგება. მთავარია დაწყნარდეს საქართველო, დამთავრდეს თავსმოხვეული ომი. სხვათა შორის, აფხაზეთში სხვებთან ერთად სამოცზე მეტი სპორტსმენი იბრძვის, თორმეტი სპორტსმენი კი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. აფხაზეთი ჩვენი საერთო სატკივარია. იმედი მაქვს, კეთილგონიერება გაიმარჯვებს და მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება მოგვეცემა.

პოეზიის წმინდა ცეცხლი



სურათზე: საიათნოვასადმი მიძღვნილ ზეიმზე.
გონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტრადიციისამებრ, მაისის უკანასკნელ კვირას თბილისში იმართება ვარდების დღესასწაული — მეგობრობისა და სიყვარულის მომღერლის საიათნოვას პოეზიის დღესასწაული. ეს ტრადიცია, 1914 წლიდან მოყოლებული, არც ერთხელ არ დარღვეულა. მძიმე დროის მიუხედავად იგი არც წელს დაირღვა. ათასობით ადამიანი მოვიდა 31 მაისს თბილისის წმინდა გეორგის ეკლესიის წინა მოედანზე. ბევრი იყო სტუმარი ერევნიდან, ახლომდებარე რაიონებიდან. ამ სასიხარულო დღესასწაულის აღსანიშნავად მოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კავსაძე, ინტელიგენციის წარმომადგენლები სომხეთიდან. სადღესასწაულო მიტინგი გახსნა საქართველოში სომხეთის კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდენტმა, გაზეთ „ვრასტანის" რედაქტორმა ვან ბაიბურთმა. ვახტანგ გოგუაძე მიესალმა საიათნოვას ნათელი ხსოვნის სიყვარულის გამომხატველად შეკრებილ ვარდების დღესასწაულის მონაწილეებს საქართველოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სახელით, და თქვა, რომ საიათნოვას პოეზია, რომელმაც თავისი ლექსები სამ ენაზე — სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე შექმნა და გამსჭვალულია ხალხთა მეგობრობის იდეებით, ღრმად ეხმიანება ჩვენს დროს.

შემდეგ გამოვიდნენ საზოგადოება „სომხეთ-საქართველოს" თავმჯდომარე, პროფესორი ტიგრან ავეტისიანი, ერევანში სათვისტომოს საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისის" თავმჯდომარე პროფესორი გაგიკ დანიელიანი, პოეტი და მთარგმნელი, ჩარენცის სახელობისა და მაჩაბლის სახელობის პრემიათა ლაურეატი გივი შაჰნაზარი, პოეტი გულიკო კავსაძე და სხვები. „აქ, რუსთაველისა და ჭავჭავაძის, ბარათაშვილისა და წერეთლის ქვეყანაში, დიდი სიამაყით ვასახელებთ საიათნოვას სახელსაც, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით ამკვიდრებდა მშვიდობის, სიყვარულისა და მეგობრობის იდეებს", ასეთი იყო ყველა გამოსვლის მთავარი ლაიტმოტივი. შთამბეჭდავად ჟღერდა გულიკო კავსაძის ლექსები, რომლებიც საიათნოვას ეძღვნება. მათში ლაპარაკია იმაზე, რომ მისი სიმღერები ახლაც ჟღერს თითოეულ სახლში, რომ მისი პოეზიის წმინდა ცეცხლს ვერ ჩააქრობს ვერც წლები, ვერც ეპოქები.

ვარდების დღესასწაულზე გამოვიდნენ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის მსახიობები, მხატვრული თვითმოქმედების ანსამბლები, ხალხური მომღერლები და პოეტები. სახალხო სეირნობამ გვიან საღამომდე გასტანა.

ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს

გამოსაშვები გამოცდები უდიდესი მოვლენაა სკოლის ცხოვრებაში. საუცხოოდ ჩანს, თუ ვინ როგორ წვრთნიდა ყრმას, ჩანს ისიც, თუ ვინ როგორ გაისარჯა და ისწავლა.

გუშინ, 1 ივნისს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ტრადიციულად პირველი წერითი გამოცდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ჩატარდა. ამჯერად თბილისის 147-ე საშუალო სკოლას ვეწვიეთ. აქ, ამ სკოლის დამამთავრებელი კლასების გარდა, გამოცდის აბარებენ თბილისის რკინიგზის საღამოს № 1 საშუალო სკოლის მოსწავლეები. ისინი სხვადასხვა სართულზე სხედან.

გამოცხადდა თემები: „დედაშვილობის ცოდო-მადლი „ოთარაანთ ქვრივისა" და „თავსაფრიანი დედაკაცის" მიხედვით", „გალაკტიონი — პოეტი და ადამიანი" და თავისუფალი თემა — „ოცდამეერთე". თემები ნაცნობია და სამივეს კმაყოფილებით შეხვდნენ როგორც პედაგოგები, ასევე მათი აღზრდილები. არჩეული თემის მოფიქრებისა და გააზრების რამდენიმე წუთი და ახალგაზრდებმა წერა დაიწყეს.

ნათია კვიციანიძემ, ნათია გორგაძემ, ნატო ასათიანმა, გიგა გობიანიძემ, მაია შუკაკიძემ პირველი თემა აირჩიეს, ანა ჯობავამ, ხათუნა ჯავახიშვილმა, ლელა ბურდილაძემ, თამარ კოპაძემ, გიორგი შარაშიძემ — მეორე, თავისუფალ თემას კი ვახტანგ ჯორბენაძე, კახაბერ კუკულაძე და სხვები წერენ. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. დირექტორები ზაზა კვინტრაძე და ვალერიან ჯავახია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მარინე კობახიძე, ნინო ჩიკვაიძე და ნინო ჩახავა, სხვა პედაგოგები გამოცდების მსვლელობას თვალყურს ადევნებენ. მათ შემოუერთდა დიდუბის რაიონის განათლების განყოფილების გამგე მერაბ ბოქოლიშვილი.

დარბაზსა და საკლასო ოთახებში, სადაც წერითი გამოცდები მიმდინარეობს, სიჩუმეა, ახალგაზრდები წერენ. წამოსვლისას, იქვე, კართან შთაგონებული ახალგაზრდა ზის. მისი ნაწერისაკენ თვალი გამექცა „ოცდამეერთე საუკუნეში ჩემი თავისუფალი საქართველო არნახულად აღორძინდება", წერს, ოცნებობს ჭაბუკი.

ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს.

ბელა ლომთაძე.
ჯავარ ლომაძის ფოტო.

ფესტივალის წინ

„კინოს შეუძლია, რომ ადამიანს სულში ჩახედოს"

წელს, სექტემბერში, თბილისში გაიმართება შავი ზღვის აუზის ქვეყნების პირველი საერთაშორისო კინოფესტივალი „ოქროს არწივი". მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობისა, დღეს ზოგიერთი მოვლენები ხელოვნებაში ტრადიციად ყალიბდება. ისინი კიდევ ერთხელ შეახსენებენ კაცობრიობას მრავალგზის აღიარებულ ჭეშმარიტებას: ადამიანის სული უკვდავია და მშვენიერებისაკენ დაუოკებელ სწრაფვას ვერაფერი ჩაახშობს.

ფესტივალები ყოველთვის ზეიმია და ასეთი ზეიმები ომითა და სხვა ათასგვარი პრობლემებით გადაღლილ ქართველ კაცს სულიერი გამხნევებისა და ძალების მოკრებისათვის ძალიან ესაჭიროება. ფესტივალის ორგანიზატორია კომპანია „ოქროს არწივი", რომელმაც შარშან ქართული ფილმების პირველი ფესტივალი ჩაატარა. ფირმა წარმოადგენს კინოხელოვნებაში უზომოდ შეყვარებულ ახალგაზრდათა ჯგუფს, რომლებსაც გულწრფელად სწამთ, რომ „კაცობრიობას მშვენიერება გადაარჩენს". კინო კი ამ მშვენიერების ნაწილია.

ვესაუბრეთ კომპანია და კინოფესტივალ „ოქროს არწივის" პრეზიდენტს გოჩა აბაშიძეს.

კორ. — შარშან გამართული ქართული ფილმების ფესტივალის „ოქროს არწივის" კატალოგის მისალმებაში გამოთქმული იმედს მომავალში შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალის ჩატარების თაობაზე. დღეს ეს ოცნება რეალობად ქცევის პროცესშია. რთული იყო ამის მიღწევა?

გოჩა აბაშიძე — ასეთი ფესტივალის მოწყობაზე, დიდი ხანია ვოცნებობთ. ოცნების საქმედ გადაქცევა კი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომით გახდა შესაძლებელი. თუმცა, რომ არ ყოფილიყო დიდი სურვილი, კინოს დიდი სიყვარული, არ ამოგვდგომოდნენ მხარში საქართველოს სამეფო ბანკი და ფირმა „ბიპ-კოგი", არ გამოეხატა ჩვენდამი მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლებს (თქვენ იცით, რომ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა სპეციალური ბრძანებულება, რომელიც გარკვეულ ორგანიზაციებს ავალებს ჩვენს ხელშეწყობას), ალბათ ძნელი იქნებოდა ოცნების რეალობად ქცევა. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო საქართველოს სამეფო ბანკის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კახა გიუაშვილის დიდი დამსახურება, რომელიც არის კომპანია „ოქროს არწივის" დამფუძნებელი და [illegible]ნანსური ოპერაციის ორგანი[illegible]ტორი. ამას გარდა, ფესტივალის დირექტორი ქალბატონი კორა წერეთელი, მე და თამუნა გვანცელაძე მიპატიჟებული ვიყავით სტამბულის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც საზოგადოებას გავაცანით ჩვენი გეგმები. მინდა დიდი სიხარულით აღვნიშნო, რომ ჩვენი ჩანაფიქრი გულთბილად აიტაცეს. შემოგვთავაზეს თანამშრომლობა, ამ ფესტივალის ჯაჭვური პრინციპით სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარების შესაძლებლობა.

ვაწარმოეთ წინასწარი მოლაპარაკება ბულგარეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, რუსეთთან. რაც შეეხება თურქეთს — ჩვენ უკვე ფილმებიც კი შევარჩიეთ. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ფესტივალი, რომელსაც ჩვენ ახლა ვამზადებთ, პირველი საერთაშორისო ფესტივალი იქნება. გაისად ჩავატარებთ ისევ ქართული ფილმების ფესტივალს და ის იქნება რიგით მეორე, შემდეგ ისევ საერთაშორისოს გავმართავთ, რომელიც იქნება ასევე მეორე და ა. შ.

კორ. — ე. ი. თქვენ ფაქტობრივად ხელმძღვანელობთ ორ კინოფესტივალს ქართული ფილმების ფესტივალი „ოქროს არწივი" და შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალი „ოქროს არწივი", რომლებიც ერთმანეთის მონაცვლეობით ჩატარდება?

გ. ა. — დიახ.

კორ. — თუ იქნება რაიმე უპირატესობა საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართულ კინოს?

გ. ა. — მხოლოდ ერთი თვალსაზრისით: თუ სხვა ქვეყნებიდან კონკურსზე წარმოდგენილი იქნება ორი ფილმი, ქართული ფილმებიდან ხუთ ფილმს მიეცემა კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა.

კორ. — დრომ აჩვენა, რომ მეზობელ ქვეყნებთან კონფრონტაციას კარგი არაფერი მოაქვს. დღეს, როდესაც შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის არსებობს ლტოლვა მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ, რა როლი შეიძლება შეასრულოს ისეთმა კულტურულმა მოვლენამ, როგორიც არის თქვენი კინოფესტივალი?

გ. ა. — პირველ რიგში, ფესტივალი, როგორც კულტურული აქცია, ადამიანებს შეახსენებს, რომ, ომისა და დაპირისპირებების მიუხედავად, მათ აქვთ მნიშვნელოვანი ღირებულებები. ამას გარდა, კულტურის მოღვაწენი ჰუმანიზმის სამსახურში დგანან და საზოგადოებრიობას შეახსენებენ, რომ მათ ქვეყნებში, პოლიტიკოსების გარდა, არიან მშვიდობის მომხრე და აღმშენებლობისთვის მოწოდებული ადამიანები. როდესაც არსებობს დაპირისპირება — ადამიანებს გაწყვეტილი აქვთ კავშირები. ფესტივალი ამ კავშირების აღდგენის საწინდარი იქნება. თუ მშვიდობის დიდ საქმეში ამ სახით მცირე წვლილს შევიტანთ, ჩავთვლით, რომ უქმად არ გვიშრომია.

კორ. — წინა ფესტივალზე ძალზე ბევრი პრიზი დარიგდა. არსებობდა მოსაზრება, და მეც ვიზიარებდი მას, რომ პრიზების დიდმა რაოდენობამ ფესტივალის პრესტიჟს ავნო. რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით წელს?

გ. ა. — პრიზები იმ ნომინაციით, რომელიც ჩვენ გვქონდა, ფესტივალებზე საყოველთაოდ მიღებულია. წელს ეს ნომინაციები ძალაში დარჩება. მაგრამ შარშან მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, ფესტივალის წინა დღეებში ბევრმა ორგანიზაციამ და ფირმამ დააწესა თავისი პრიზები. მათ შორის იყო „რემკას"-ა და „ლევან აბაშიძის" პრიზიც. ორ უკანასკნელს ჩვენც ვუჭერდით მხარს. ვფიქრობთ, წელს, ამ ორი პრიზის გარდა, დანარჩენზე უარს ვიტყვით. ამ საკითხებთან დაკავშირებით კომისია იმუშავებს და ის გადაწყვეტს პრიზების რაოდენობას. ამას გარდა, ფესტივალების მოწყობის დიდი გამოცდილება არა გვაქვს და შემფასებელნი ძალიან მკაცრნი ნუ იქნებიან ჩვენს მიმართ. დიდი სურვილი გვაქვს სრულვყოთ ჩვენი მუშაობა და ვფიქრობ, შემდგომში უფრო ნაკლები პრეტენზიები იქნებათ.

კორ. — რა შეგიძლიათ გვითხრათ ფესტივალის ფარგლებში გათვალისწინებული კულტურული პროგრამის შესახებ?

გ. ა. — განსაზღვრული გვაქვს ფესტივალის დღეებში ბავშვებისათვის მინი-ფესტივალის მოწყობა, რომელიც გვინდა მათთვის დიდ ზეიმად იქცეს. ვაპირებთ თენგიზ აბულაძის ფილმების რეტროსპექტივას და ამ რეტროსპექტივისათვის ჩაფიქრებულია რეჟისორის ფილმების კატალოგის გაკეთება. ძალიან გვინდა დიდი მსახიობების ეროსი მანჯგალაძისა და იპოლიტე ხვიჩიას შემოქმედებითი საღამოები მოვაწყოთ. მიგვაჩნია, რომ ისინი უსამართლოდ არიან მივიწყებული. ეს იოლი არ არის. ბევრი ფიქრობს, რომ ორიოდე დღეში შეიძლება საღამოს მომზადება. ჩვენ ამ საღამოების სცენაზე კონკურსი გამოვაცხადეთ. როგორც ყოველთვის, ჩვენთან იდეას უმალ აიტაცებენ ხოლმე და ამ ინფორმაციის შემდეგ გაჩნდა გადაცემები ამ ოსტატების შემოქმედებაზე. კულტურული პროგრამის შესახებ გვქონდა საუბარი ბატონ ელდარ შენგელაიასთან და დიდი შესაძლებლობები გამოიკვეთა. ვეცდებით ამ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას, მაგრამ თუ აქტიურად საზოგადოება არ დაგვეხმარება, მხარში არ ამოგვიდგებიან კინომცოდნეები, მაშინ ძნელი იქნება ყოველივეს განხორციელება.

ეს ჩამონათვალი არასრულია. მას კიდევ ბევრი ღონისძიება დაემატება, რომელიც გვინდა სიურპრიზად დარჩეს. ერთი რამ კი ცხადია — ყოველივე მაღალ დონეზე უნდა გავაკეთოთ. ეს ჩვენი სურვილიც არის და ის ფირმებიც, რომლებიც გვაფინანსებენ, მკაცრად ამასვე ითხოვენ. ზოგიერთს ჰგონია, რომ ფესტივალი გამდიდრების საშუალებაა. ეს ასე როდია. ფესტივალი დღეს, მხოლოდ თავდაუზოგავი შრომაა. იმისათვის, რომ ეს ფესტივალი ჩავატარო, მე რიგით თანამშრომლად ვმუშაობ ფირმა „ბიპ-კოგში".

კორ. — შარშან ფესტივალს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. თვლიდნენ, რომ ომისა და მძიმე პოლიტიკური სიტუაციის პირობებში კინოფესტივალის დრო არ იყო. გავიდა ხანი და საწინააღმდეგო დადასტურდა. კინოფესტივალმა მძლავრი მორალური ატმოსფერო შექმნა, საზოგადოებას მრავალი სასიამოვნო წუთი განაცდევინა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ყოფითი და მიწიერი საზრუნავის გარდა, ადამიანს სულიერი საზრდოც ესაჭიროება. წელს როგორ გეხმარებათ შარშანდელი შედეგები?

გ. ა. — მე გეთანხმებით, რომ ადამიანს მდიდარი სულიერი ცხოვრება ესაჭიროება და ჩვენ მოწოდებული ვართ მცირეოდენი წვლილი მაინც შევიტანოთ ამ საქმეში. რაც შეეხება სკეპტიკოსებსა და პესიმისტებს — მათზე არც კი მინდა ვილაპარაკო. ერთხელ უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენ არ შეგვიძლია საქართველოს მტრების წინააღმდეგ ავტომატით ბრძოლა. ჩვენ ჩვენი საშუალებებით ვიბრძვით ამ ომში. ჩემს ძმას ავტომატით შეეძლო ბრძოლა და დაიღუპა აფხაზეთში. იარაღით იბრძვის ბევრი ჩვენი თანამემამულე. ღირსება და პატივი მათ. ჩვენ აქ ვიბრძვით. ვეხმარებით ადამიანებს ცოტათი მაინც გაილამაზონ ყოფა, მტერმა კი დაინახოს, რომ ჩვენ უძლეველნი ვართ. სანამ ადამიანს ხელოვნების ნაწარმოების აღქმის უნარი არ დაეკარგება — მანამდე დაუმარცხებელია. და თუ ჩვენ ვიქნებით ძლიერნი, ძლიერი იქნება ჩვენი ქვეყანა. ამას გარდა, ყოველივეს მაკეთებინებს ქართული კინოს დიდი სიყვარული. მე პირველად თენგიზ აბულაძემ მიმიყვანა თავისთან რეჟისორის ასისტენტად და მას შემდეგ არ გამიწყვეტია კინოსთან კავშირი. კინოს გარეშე ვერც კი წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება. ერთ რეჟისორს, რომელთანაც მე ვმუშაობდი, უყვარდა ხოლმე თქმა: „კინოს შეუძლია ადამიანს სულში ჩახედოს". დღეს ისე ძალიან გვაკლია ერთმანეთის სულში ჩახედვა და თანაგრძნობა, რომ ვისაც რა შეგვიძლია ამ მიმართებით — უნდა გავაკეთოთ. მეც და ჩემი მეგობრებიც, ვინც მხარში მიდგას, თავს ბედნიერად ჩავთვლით, თუ შესანიშნავი ქართული კინოს პოპულარიზაციის გზით ერთმანეთს სულში ჩავხედავთ ყველა ის ადამიანი, რომლებიც შავი ზღვის ირგვლივ ვბინადრობთ. იმედი მაქვს, რომ ირგვლივ გამეფებული ძალადობის, მკვლელობის, სადიზმისა და ათასგვარი უბედურების გარემოცვაში ჩვენი ფესტივალი გადაიქცევა პატარა ოაზისად.

კორ. — გისურვებთ წარმატებებს. ჩვენც გვექნება იმედი, რომ ფესტივალი „ოქროს არწივი" ყველას სასიამოვნო მოსაგონებლად დარჩება, რომ ის ხელს შეუწყობს ძველი კონტაქტების აღდგენასა და ახლის დამყარებას, ერთმანეთის ხელოვნების და ამ გზით ერთმანეთის უფრო ახლო გაცნობას.

ესაუბრა კინომცოდნე
ბაბულინა სიხარულიძე.

საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს

1993-94 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა მიღებას დღისა და საღამოს განყოფილებებზე

ინსტიტუტი ამზადებს:

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის, მშენებლობისა და სამშენებლო მასალათა მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ეკონომიკისა და მართვის, ჯანდაცვის, საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის ეკონომიკისა და მართვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საქალაქო მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის, ქიმიურ-სატყეო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის, საგამომცემლო საქმისა და პოლიგრაფიის ეკონომიკისა და მართვის, ტრანსპორტის ეკონომიკისა და მართვის, აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეკონომიკისა და მართვის, კვების მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის, აგრეთვე, წარმოების ორგანიზაციის პროფილის **ინჟინერ-ეკონომისტებს.**

აბიტურიენტები წერით გამოცდას და ზეპირ გასაუბრებას გაივლიან მათემატიკაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

სტუდენტი ინსტიტუტში არჩეულ სპეციალობასთან ერთად, თუ სამისო სურვილი ექნება, დაეუფლება ერთ ან ორ უცხო ენას (იმ ვარაუდით, რომ შეეძლოს თავისუფალი საუბარი), ხელის მანქანაზე ბეჭდვასა და ავტომანქანის მართვას. სტუდენტი გაძლიერებული პროგრამით შეისწავლის, აგრეთვე, შესაბამისი დარგის ტექნიკასა და ტექნოლოგიას, ინფორმატიკის საშუალებათა გამოყენებას, ბუხჰალტერიას, სტატისტიკას, სამეურნეო საქმიანობის ანალიზს, ადამიანთმცოდნეობის თეორიას, მენეჯმენტის საფუძვლებს, ეკონომეტრიკას, სამეურნეო სამართალს.

1993-1994 სასწავლო წლის სწავლის საფასურია 25 ათასი მანეთი. შემდგომი სასწავლო წლებისა იქნება ფულის ინფლაციის დონის შესაბამისად.

აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების ატესტატი (დიპლომი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4 ცალი ფოტოსურათი (3×4), ჯანმრთელობის ცნობა (ფ. 086).

საბუთები მიიღება პირველი ნაკადისა 20 ივნისიდან 20 ივლისამდე, მეორე ნაკადისა — 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე 12-დან 16 საათამდე შაბათ-კვირის გარდა. აბიტურიენტთა გამოცდა, მათთან კონტრაქტის გაფორმება იწარმოებს პირველი ნაკადისა 22 ივლისიდან 5 აგვისტომდე, მეორე ნაკადისა — 18 აგვისტოდან 27 აგვისტომდე.

სტუდენტად ჩაირიცხება დადებითი ნიშნების მქონე ის აბიტურიენტი, რომელსაც პირველი ან მეტი წლის სწავლის საფასური ნაღდი ან უნაღდო წესით გადახდილი ექნება 1 სექტემბრამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, დიღმის მასივი, მესამე კვარტალი, 147-ე სკოლის შენობა.

ტელეფონი: 51-98-84, 95-23-77.

რექტორატი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ექსპედიციებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

შეკვეთა [illegible]